645
1966/2.
ეროვნული ბიბლიოთეკა




მაისი
№ 5 1966 წ.

# საქართველოს ქალი



ყრილობის სხდომის დარბაზი

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა



ყრილობის დელეგატები — კოსმონავტი-მფრინავი ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა და მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი კლავდია ნაცვალაძე

1. 1966-1970 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო-წლიური მოცულობა 25 პროცენტით გადიდდება წინა ხუთწლედში ამ პროდუქციის წარმოების საშუალო-წლიურ მოცულობასთან შედარებით.

2. მარცვლეულის საშუალო-წლიური წარმოება ხუთწლედში მთლიანად ჩვენს ქვეყანაში წინა ხუთწლედთან შედარებით 30 პროცენტით გაიზრდება.

3. სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის ზრდის, მისი ინტენსიფიკაციის, შრომის უკეთესი ორგანიზაციისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების გადიდების საფუძველზე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერება ხუთწლედის მანძილზე გაიზრდება 40-45 პროცენტით

4. 1.3-ჯერ გაფართოვდება საბინაო მშენებლობის მოცულობა და გაუმჯობესდება მისი ხარისხი.

5. საყოფაცხოვრებო მომსახურება გადაიქცევა სახალხო მეურნეობის მსხვილ მექანიზებულ დარგად 1970 წლისათვის დაახლოებით 2.5-ჯერ გადიდდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა, აქედან სოფლად — 3-ჯერ და მეტად

6. მოსწავლეთა რიცხვი ერთიორად და უფრო მეტად გაიზრდება გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში, 1.4-ჯერ და მეტად კი — მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში.

7. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სახელმწიფო დაწესებულებებში ბავშვთა რიცხვი გაიზრდება 12,2 მილიონამდე, რაც 1.6-ჯერ მეტია, ვიდრე 1965 წელს.



ყრილობის დელეგატები საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან. მარჯვნიდან მეორე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.



ყრილობის დელეგატები — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მედეა ჩახავა და კოსმონავტი-მფრინავი გ. ტიტოვი (მარცხნიდან პირველი).

ყრილობის დელეგატები — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თამარ ლაშქარაშვილი და უკრაინელი მწერალი ა. კორნეიჩუკი.



ფოტო გ. ვახტანგაძისა

10.653.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რომ არ იყოს ომი!

1942 წლის ივნისში დაამთავრა ნინო მიქაბერიძემ ქუთაისის სამეანო ტექნიკუმი. ომი იყო მაშინ და ნინომაც ფრონტისკენ გაიწია. კოსტა მიქაბერიძის ორი ვაჟი ჰიტლერელებს ებრძოდა. ახლა მათ დაც უნდა შემატებოდა. შეწუხდა მამა. ენანებოდა ქალიშვილის გაშვება. მაგრამ გადაწყვეტილება მიღებული იყო. ნინომ დააჯერა მშობლები თავისი მოქმედების სისწორეში, წავიდა და თან მათი ლოცვა გაიყოლა.

ის უკრაინის პირველი ფრონტის მოქმედი არმიის ევაკოჰოსპიტლის უფროსს გამოეცხადა სამხედრო ფორმაში ჩაცმული. ჰოსპიტალს ხელმძღვანელობდა ჭარმაგი მოხუცი, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი ალექსანდრე კუზმას ძე ბრიგიდა.

... კარებზე ფრთხილად დააკაკუნეს. პოლკოვნიკი წამოდგა, კიტელის ღილები მოისინჯა, მარჯვენა მკერდზე მიბნეული ორი „წითელი ვარსკვლავის" ორდენი შეისწორა და კარების გასაღებად გაეშურა.

ალექსანდრე კუზმას ძეს გაღებულ კარებში ნინო შეეფეთა. ნინოს უკან ქუთაისელი ქალიშვილები მოყვებოდნენ. კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ნინომ და პოლკოვნიკს ჯარისკაცივით მხედრულად გამოეჭიმა: ქალაქ ქუთაისის საფერშლო ტექნიკუმდამთავრებულები ათი ექთანი გამოცხადდა თქვენს განკარგულებაშიო, —უთხრა და პოლკოვნიკს პაკეტი მიაწოდა.

პოლკოვნიკმა დალუქული პაკეტი სამედიცინო სამსახურის კაპიტანს —ოლღა სტეფანეს ასულს გადასცა გასახსნელად. ოლღა სტეფანეს ასული, ნინოს მოხდენილი გარეგნობით მოჯადოებული თვალს ვერ აშორებდა, მერე პაკეტი გახსნა და სია პოლკოვნიკს მიაწოდა.

ალექსანდრე კუზმას ძემ სია ჩამოართვა, გაშალა და პირველი გვარი ამოიკითხა —მიქაბერიძე ნინო კონსტანტინეს ასული, დაბადებული 1925 წელს.

— მე გახლავართ, —ამაყად უპასუხა ნინომ.

— მალიშევა!

— მე ვარ, —იყო პასუხი.

პოლკოვნიკმა მზერა მიაპყრო იქით, საიდანაც ხმა მოესმა და შეამჩნია მომღიმარი სახე.

— დოროიანი თამარი, —განაგრძო გამოძახება პოლკოვნიკმა.

— არის დოროიანი, —იყო პასუხი და ხორბლისფერი სახის თამარ დოროიანმა მოინდომა პოლკოვნიკს მიახლოებოდა, რისთვისაც გვერდზე მდგომები მკლავებით მისწია.

—ტარასოვა დუსია, —განაგრძო პოლკოვნიკმა.

— ვარ, —იყო პასუხი და წინ წამოიწია პატარა და ძალზე გამხდარი ტანის ჭრელთვალა გოგონა.

პოლკოვნიკმა თვალი მოავლო დანარჩენებს: მარგალიტა მაღულარიას, ქეთევან სირბილაძეს, სონია მეგრელიშვილს და მცირე პაუზის შემდეგ დაიწყო:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოდან მოსულები ყველა დაბრკოლებას თუ გასაჭირს მხნედ აიტანთ, სიძნელეები ვერ შეგაშინებთ. თქვენ რას იტყვით, ამხანაგო მიქაბერიძე.

ნინომ ძალიან მოკლედ, მაგრამ დაჯერებულად მიუგო:

— ჩვენ, მართალია, ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ პირდაპირ თქვენთან მოვხვდით ფრონტზე, მაგრამ მოგახსენებთ, რომ დაჭრილებთან მუშაობის საკმარისი პრაქტიკა გვაქვს მიღებული.

ამ დროს ჰოსპიტლის მორიგე ექიმი შემოვიდა და პოლკოვნიკს მოახსენა, სამი მანქანით ასამდე დაჭრილი მოიყვანესო.

პოლკოვნიკმა ოთხი გვარი დაასახელა, დარჩითო, სხვები კი დაჭრილების მისაღებად გაგზავნა...

1944 წლის თებერვალში ჰოსპიტალი საკვანძო სადგურ ბახმაჩში გადაბარგდა, რათა ფრონტის ხაზს დაახლოებოდა. ძალზე სუსხიანი თვე იყო. ჰოსპიტალმა დაჭრილების მიღება და ოპერაციები დაამთავრა, ექიმები დასასვენებლად ემზადებოდნენ, ჰოსპიტლის უფროსის ტელეფონი როგორღაც ცივად აწკრიალდა. დაღლილობისაგან მთვლემარე პოლკოვნიკმა ყურმილი აიღო.

— ვინ ლაპარაკობს! — იკითხა მან და კაბინეტში მიმოიხედა. მერე ზარის ღილაკს თითი სწრაფად შეახო და მორიგე ექიმი შემოვიდა.

— საშა, თუ ვინმე დარჩა ექიმებიდან წაუსვლელი, სთხოვე, არავინ წავიდეს, ჩემთან შემოვიდნენ. ახლახან მაცნობეს, მტერს ავიადესანტი ჩამოუსხამს, ქუჩაში ნურავინ გავა, ვიდრე დესანტი არ იქნება ლიკვიდირებული. პალატებში სრული სიწყნარე იყოს.

პოლკოვნიკმა სამედიცინო პერსონალისაგან რაზმები დააკომპლექტა და გარკვეული ადგილების დაცვა მიანდო.

ნინო მიქაბერიძეს ჩრდილოეთ კედლის დაცვა დაევალა. მან შეაიარაღა თავისი რაზმის ქალები და სამოქმედო ობიექტის შესასწავლად გავიდა, კედელი 5 ნაწილად დაჰყო და გუშაგები მალულად ჩააყენა; ორი ექთანი თავის რეზერვში დანიშნა და თავისთვისაც სათვალთვალო პუნქტი შეარჩია.

პირველ საათზე ნინომ შენიშნა, როგორ გადმოირბინა ჩრდილმა, რასაც № 1 საგუშაგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გასროლა მოჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთი ბოროტმოქმედი გადმოხტა ჰოსპიტლის ეზოში. „აჰა, ეს კი ჩემი ბატკანია, ვეღარსად წამივა“, — თავისთვის ჩაილაპარაკა ნინომ და ვაჟკაცური, დინჯი ნაბიჯით გაემართა დაუპატიჟებელი სტუმრისაკენ. მერე ღობის კედელს აეკრა და ისე უახლოვდებოდა მიზანს. უცებ ელექტრონის ბოძის მხრიდან ცეცხლის ენა გამოვარდა, გასროლამ აგრძნობინა ნინოს, რომ მტერი ბოძს ამოფარებოდა. ნინო გულმოდგინედ უთვალთვალებდა ბოძს, მაგრამ მტერს ვერ ხედავდა. მანძილი მათ შორის 30-35 მეტრი იქნებოდა. მტერმა მეორედ გაისროლა. ტყვიამ ნინოს მარცხენა ყურთან ჩაუარა. ნინომ თავახდილი წყალსადენის ჭა შენიშნა, ბევრი არ უფიქრია, ჭასთან მიხოხდა. საბედნიეროდ ჭა მშრალი აღმოჩნდა. მან ჭის კიდეს ჩასჭიდა ხელები და ჭაში გადაეკიდა. მტერმა კიდევ ერთი გასროლა მოასწრო. ტყვია იქ დაეცა, სადაც წამის წინ ნინო იყო გაწოლილი. ნინომ ბოძი კიდევ შეათვალიერა და სიხარულისაგან კინაღამ წამოიყვირა — მტრის სხეულის ნახევარი მთლიანად მოჩანდა.

— ახლა ჩემი ჯერია! — შესძახა ნინომ და მტერს იარაღი დაუმიზნა. ბოძზე მოხვედრილი ტყვიისაგან მასზე გაბმულმა მავთულებმა წივილი დაიწყეს. ნინომ დამიზნების ხაზი ფიცხლად შეცვალა და მეორე გასროლის შემდეგ ბოძს ამოფარებულმა სხეულმა ზღართანი მოადინა.

იმ ღამეს სადგურ ბახმაჩის პატარა, ვიწრო ქუჩებში კანტი-კუნტი სროლა ისმოდა. ღამის სამ საათზე პარტიზანების ჯგუფი ჰოსპიტალს ალყად შემოერტყა და დესანტთა ჯგუფი გაანადგურა. დესანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩადენილი გმირობისათვის ნინო მიქაბერიძე „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დააჯილდოვეს.

ჰოსპიტლის პირადი შემადგენლობა სისტემატურად გადიოდა ფრონტის წინა ხაზზე. ერთ დღეს გააფთრებულ ბრძოლაში ნინომ წინა ხაზიდან 21 დაჭრილი მებრძოლი გამოიყვანა, მეორედ 17 მებრძოლს აღმოუჩინა სასწრაფო დახმარება, რისთვისაც დააჯილდოვეს მედლით „მამაცობისათვის“.

ასეთი ეპიზოდებით სავსე იყო დღეები, რომლებიც ნინო მიქაბერიძემ ფრონტზე გაატარა. დემობილიზაციის შემდეგ ის მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა, ცოლად გაჰყვა მარუხის გმირული ბრძოლების აქტიურ მონაწილეს ალექსანდრე ალფაიძეს და მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაება.

ომის დამთავრების შემდეგ ნინომ მეორე პროფესია შეიძინა, დაამთავრა ქუთაისის პედინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი და ქუთაისის რაიონის სოფელ კვახჭირის საშუალო სკოლაში მუშაობს.

„რომ არ იყოს ომი“... —ამ ფიქრით თენდება მისი ყოველი დილა მას შემდეგ, რაც ომის გრიგალმა გადაიარა, მას შემდეგ, რაც ის სკოლაში დადის და მოსწავლეების მშვიდ სახეებს ხედავს, მას შემდეგ, რაც მის ოჯახში სამამულო ომის ორი მონაწილე ერთ ბიჭუნას ზრდის.

შალვა თელია



# დედა

არ გადმოულახავს ზღვები და მთები, არც იტალიიდან მოსულა ფეხშიშველი. იგი ისეთივე უბრალო ადამიანი იყო, როგორც დედაჩემი, როგორც დედაშენი. ცხოვრობდა დაბა ტაროპეცში და არასოდეს გასცილებია მას.

ბრძოლის ქარცეცხლში ვნახეთ; ფრონტის წინა ხაზიდან გამოჰყავდა დაჭრილი მეომრები.

— ვინ არის? —იკითხა ვიღაცამ.

— დედა!..

ამის შემდეგ აღარავის უკითხავს, ვინ არისო.

— დედა! —აღმოხდებოდა დაჭრილს რომელიმე ენაზე და, ისიც უმალვე იქ გაჩნდებოდა. თითქოს რკინის ჯავშანი ეცვა, ტყვიამიუკარებელი. მისი მწვანე თავსაფარი ხან აქ გაიელვებდა და ხან იქ. სულაც არ ერიდებოდა ნაღმსა და შრაპნელს. შვილს თუ ეძებდა უბედური ამ ორომტრიალში...

მტერმა მეოთხედ შემოგვიტია, მაგრამ კვლავ მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. წუთით დაცხრა, დადუმდა ბრძოლის ველი. გამანადგურებელი გრიგალის მომასწავებელ სიჩუმეში მხოლოდ ნიშანსღა ველოდით. ახლა ჩვენი ჯერი იყო.

გზისპირას, ყუმბარით გახლეჩილ არყის ხესთან, მწვანე თავსაფარი შევნიშნეთ. უცებ მოვწყდი ადგილიდან. მეზობელი სანგრიდანაც ამოხტა ვიღაც...

თავსაფრიანი სისხლიან მიწაზე ეგდო. ვეღარ მივუსწარით ცოცხალს.

ფრთხილად ავწიეთ გულგანგმირული ქალი. მე მისი მხრები მეჭირა. იქვე, შენიღბულ ბორცვამდე გადავიყვანეთ... ორი წუთით, მარტო ორი წუთით მესვენა გულთან უცნობი ქალის ჭაღარა თავი. მაგრამ ჩემს ხელებს, ჩემს მკერდს მუდამ თან ახლავს მისი სითბო.

შალვა ცანავა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ლექსები

ოთარ შალამბერიძე

## ერთი მერცხალი და გაზაფხული

ერთი მერცხალი ვერ მოიყვანსო
გაზაფხულს, —
ხალხმა ასე დასწერა;
არ დაიჯერო, ჩემო ძვირფასო,
არ დაიჯერო, რაც გულს არ სჯერა!
რადგან თუ ერთი მერგო სიცოცხლე,
ვჯერდები ერთი მერცხლის მოფრენას!
ოღონდ წამითაც ნუ დაიმორცხვებ
ჩემს ალალ გულთან დამეგობრებას.
არ შეიძლება იყოს ფხიანი
კბილს გაცდენილი ყველა ანდაზა:
უკვდავსაყოფად ერთი სიმღერაც
ხომ გაეგება სულს ფიანდაზად?!..
ირიბად აწვიმს ჩაფერფლილ კოცონს
და სულში ჩარგულ
ბზის ტოტს ათრთოლებს;
ოღონდ შენ ერთი მოფრინდი დროზე
და...
გაზაფხული არ მიმატოვებს!

## ღამის დარაჯი

შუაღამისას,
ვიტრინასთან მთვლემარე დარაჯს
თავს წაადგები და ეტყვი წყნარად,
რომ ერთი ცალი პაპიროსი სიცოცხლედ გიღირს.
ხოლო კუთხეში,
ასწლოვანი ჰადრების იქით,
შენს მოლოდინში იკავებს ღიმილს
მაღალ ქუსლებზე შემდგარი ჩრდილი!..

## უცნობი ქალი

ძხრები... შიშველი მხრები მორცხვობენ,
ქურდული მზერა დე, მაპატიონ.
ოდეს ვინმესთვის გინდა ცოცხლობდე,
წამები როგორ სწრაფად გადიან.

სპილოსძვლისფერი მხრების პოემა
თოვს სალამურად ჩამქრალ დარბაზში...
სცენაზე გმირი კვდება დროებით,
და მჯერა მისი ყალბი ბარბაცი.

ფრთხილად ეყრდნობი ლოჟის მოაჯირს,
თითქოს ხავერდზე უცებ დათოვა...
ახლა ყოველგვარ ტკივილს მოარჩენს
მაღალი მთვარე და მადათოვი.

კეთრინ მენსფილდი

# ფინჯანი ჩაი



მოთხრობა

მხატვარი დ. კახი

ვერავინ იტყოდა როუზმერი ფელზე, ლამაზი ქალიაო. მაშ, ძოძხიბვლელი იყო? თუ კარგად დააკვირდებოდით, ვინ იცის... თუმცა, რა საჭიროა ასე ჩასდიო ადამიანს? როუზმერი მდიდარი ყმაწვილი ქალი გახლდათ, მეტისმეტად თანამედროვე, მოხდენილად იცვამდა და უახლეს ლიტერატურასაც კითხულობდა. წვეულებასაც ხშირად მართავდა ხოლმე, ვის არ შეხვდებოდით იქ. ზოგიერთის ხსენებაც კი შეგაძრწუნებდათ, ზოგი კი მართლაც ღირსეული და საინტერესო პიროვნება იყო.

როუზმერი ორი წლის გათხოვილი იყო. ქმარი აღმერთებდა, პატარა ბიჭუნა ჰყავდა, მაიკლი ერქვა. მდიდრულად ცხოვრობდნენ, მართლაც რომ მდიდრულად. თუკი როუზმერი რაიმეს ყიდვას მოისურვებდა, ისე იოლად გაემგზავრებოდა პარიზში, როგორც ჩვენ ბონდსტრიტზე გავივლით ხოლმე. ყვავილებს მოისურვებდა და მსუბუქი მანქანა გააქროლებდა როჯენსტრიტზე, საუცხოო მაღაზიისაკენ. სახეგაბრწყინებული როუზმერი გულდასმით შეათვალიერებდა ყვავილებს და იტყოდა: „აი, ის და ის ყვავილი მომაწოდეთ, გეთაყვა, ოთხი კონა იმ ვარდებისა, ლარნაკში რომ აწყვია. იასამანი არ მიყვარს, ფორმა არ უვარგა". გამყიდველიც თავს დაუქნევდა და, თითქოსდა მართლაც დაიჯერაო, იასამანს გვერდზე გადასდებდა.

— აი, ის პატარა, თეთრი და წითელი ტიტაც მომეცით.

მანქანამდე მაღაზიის მსახური პატარა გოგო მიაცილებდა ხოლმე, თეთრ ქაღალდში შეფუთული დიდი თაიგული ძლივს მიჰქონდა, თითქოს თეთრეულში გახვეული ბალღი უჭირავსო.

ზამთრის ერთ ნაშუადღევს, როუზმერიმ კურზონსტრიტზე შეიარა, პატარა ანტიკვარულ მაღაზიაში. ძალიან უყვარდა ამ მაღაზიაში შევლა, რადგან, ჯერ ერთი, იქ ნაკლები ხალხი ტრიალებდა, და მეორეც, მაღაზიის პატრონი ყოველთვის ცდილობდა რითიმე ესიამოვნებინა მისთვის. ახლაც, გამოჩნდა თუ არა როუზმერი, მაღაზიის პატრონს სახე გაუბრწყინდა, ხელების ფშვნეტას მოჰყვა და კმაყოფილებისაგან ენა ჩაუვარდა. ეს, რასაკვირველია, მლიქვნელობით მოუვიდა.

— მე მიყვარს ჩემი ნივთები, ქალბატონო. მირჩევნია, არ გავყიდო, ვიდრე ისეთ ადამიანს ჩაუვარდეს ხელში, ვინც მათი ფასი არ იცის, ვისაც დახვეწილი გემოვნება არა აქვს; დახვეწილი გემოვნების პატრონს კი იშვიათად შეხვდები... — აუხსნა ხმადაბლა, მოწიწებით; შემდეგ ღრმად ამოისუნთქა, ლურჯი ხავერდის პატარა ოთხკუთხედი ნაჭერი გაშალა და გაყვითლებული თითებით შუშას გადაუსვა.

დღეს მაღაზიის პატრონმა როუზმერის ერთი კოლოფი დაახვედრა. ეს კოლოფი ჯერ არავისთვის ეჩვენებინა. პატარა, კოხტა, მომინანქრებული კოლოფი ტყვიის სიფრიფანა ფენით ისე წვრილად იყო მოვარაყებული, თითქოს ნაღებში ამოავლესო. კოლოფის სახურავზე პატარა ბიჭი იყო გამოსახული. ბიჭი პატარა გოგონას ეხვეოდა აყვავებული ხის ძირას. ხეზე გოგონას პაწაწინა ქუდი ეკიდა, ქუდს მწვანე ზოლები დაჰყვებოდა. ვარდისფერი ღრუბელი მფარველი ანგელოსივით დაცურავდა მათ თავზე. როუზმერიმ გრძელყელიანი ხელთათმანი გაიხადა. ასეთ ნივთებს როცა სინჯავდა, ყოველთვის იხდიდა ხელთათმანს. მეტისმეტად მოეწონა კოლოფი, მართლაც

კარგი რამ იყო. აუცილებლად იყიდის ამ ნივთს. კოლოფს ხელში ატრიალებდა, ადებდა, კეტავდა და თვითონაც ამჩნევდა თუ როგორ ელამუნებოდა ლურჯი ხავერდი მის ხელებს. მაღაზიის პატრონიც ალბათ მიუხვდა, რასაც ფიქრობდა. ფანქარი აიღო, დახლს დაეყრდნო და თავისი მკრთალი თითები ქალის ვარდისფერ თითებს მოკრძალებით მიუახლოვა: „თუ ნებას მომცემთ, პატარა ლედის სარტყელზე ამოკვეთილ ყვავილებს გიჩვენებთ, ქალბატონო.“

— ო, რა მშვენიერია, — როუზმერის უყვარდა ყვავილები. — რა ღირს? — გამყიდველმა, ერთ ხანს, თითქოს ვერ გაიგო ნათქვამი, შემდეგ კი ჩურჩული მისწვდა ქალის ყურს: — ოცდარვა გინეა, ქალბატონო.

„ოცდარვა გინეა“. როუზმერის ხმა არ ამოუღია. პატარა კოლოფი დახლზე დადო, ხელთათმანი შეიკრა. ოცდარვა გინეა. მდიდარსაც კი... როუზმერის სახე არაფერს არ გამოხატავდა. შემდეგ ჩაიდანს დააშტერდა, რომელსაც ქათმის ფორმა ჰქონდა და უთხრა.

— კარგი, მაშ შემინახეთ, შეგიძლიათ?.. მე...

მაღაზიის პატრონმა თავი ისე დახარა, თითქოს მცირე რამ სთხოვესო. რასაკვირველია, სიამოვნებით შეუნახავდა როუზმერის ამ კოლოფს, თუ საჭირო იქნებოდა, სამუდამოდაც კი.

კარი ხმაურით მიიხურა. როუზმერი კიბეზე იდგა. ზამთრის სურათს გასცქეროდა. წვიმდა. ირგვლივ ყველაფერს რუხი ფერი დასდებოდა, გეგონებოდათ, ბინდდებაო. გარეთ ციოდა, ახალანთებული ნათურები ნაღვლიანად ციმციმებდნენ. ქუჩის გადაღმა სახლებშიც სუსტი სინათლე ბჟუტავდა. ქუჩაში ქოლგიანი ხალხი მიიჩქაროდა. სევდა შემოაწვა როუზმერის. მუფტა მკერდზე მიიკრა. პატარა კოლოფის ჩახუტებაც მოუნდა; მანქანა იქვე უცდიდა, მხოლოდ ქვაფენილი უნდა გადაეჭრა, მაგრამ წამით შეჩერდა. ადამიანის ცხოვრებაში ხანდახან დგება ხოლმე მომენტი, როცა იგი ამქვეყნიურ საშინელებას შეიგრძნობს, მაგრამ არ უნდა დანებდეს ამ გრძნობას! კარგი იქნება თუ ახლავე შინ წავა და მაგარ ჩაის დალევს.

ამ ფიქრში იყო გართული, როცა გვერდით გამხდარი, შავგვრემანი და გაფითრებული ყმაწვილი ქალი შენიშნა. „ნეტავ აქ საიდან გაჩნდა?“ — გაიფიქრა როუზმერიმ. ქალი ტიროდა:

— ქალბატონო, გთხოვთ ერთი წუთით მომისმინოთ.

— მე? — როუზმერი მიტრიალდა. მის წინ პატარა ტანის არსება იდგა, თითქმის მისი ტოლი. ყმაწვილ ქალს დიდრონი, მშვენიერი თვალები ჰქონდა. ხელები დასწითლებოდა. პალტოს საყელო აეწია და ისე კანკალებდა, თითქოს ეს-ეს არის წყლიდან ამოიყვანესო.

— ქა... ქალბატონო, თუ შეგიძლიათ ფული მომეცით, ფინჯანი ჩაი მინდა დავლიო, — ენის ბორძიკით ეუბნებოდა ყმაწვილი ქალი როუზმერის.

„ფინჯანი ჩაის ფული“? — გულწრფელობა და უბრალოება იგრძნობოდა ქალის ხმაში, მათხოვარს არაფრით არ გავდა.

— სულ არა გაქვს ფული? — შეეკითხა როუზმერი.

— არა, სულ არა, — გაისმა პასუხად.

— რა საოცარია! — გაკვირვებულმა როუზმერიმ სიბნელეს გახედა. ყმაწვილი ქალი კი მას მიშტერებოდა. საოცარზე მეტიც იყო. როუზმერის ეს შემთხვევა სათავგადასავლო ამბად მოეჩვენა. ამ სიბნელეში უცნობ გოგონასთან შეხვედრამ დოსტოევსკის ერთი რომანი გაახსენა. იქნებ შინ წაიყვანოს ყმაწვილი ქალი? რა მოხდება, ისეთი რამ ჩაიდინოს, რაც წაუკითხავს, ან რაც სცენაზე უნახავს, რა ამაღელვებელი იქნება! წარმოიდგინა როგორ გააკვირვებდა ამხანაგებს: „ეს გოგონა მე მოვიყვანე“. შემდეგ როუზმერი ყმაწვილ ქალს მიუახლოვდა და სთხოვა: — ჩემთან წამოდი, ჩაი დალიოთ.

შემკრთალმა გოგონამ უკან დაიხია. მთელი სხეული უკანკალებდა; ერთ ხანს ადგილზე გაიყინა. როუზმერიმ მუფტიდან ამოიღო ხელი და მკლავში მოჰკიდა.

— ჰო, წამოდი, — უთხრა ღიმილით.

როუზმერი ხედავდა, როგორ უბრალოდ და გულკეთილად იღიმებოდა იგი.

— რატომ არ გინდა? წამომყევი, მანქანით წაგიყვან და ჩაისაც დაგალევინებ.

— ნამდვილად მეპატიჟებით, ქალბატონო? — აღმოხდა საბრალოს.

— რა თქმა უნდა, ძალიან მასიამოვნებ თუ წამოხვალ.

ყმაწვილმა ქალმა თითები ტუჩებთან მიიტანა და როუზმერის თვალებში ისე შეხედა, თითქოს სინამდვილის ამოკითხვა უნდოდა.

— პოლიციაში ხომ არ წამიყვანთ? — ენის ბორძიკით ჰკითხა მან.

— პოლიციაში! — როუზმერის გაეცინა. — ასეთი ბოროტი გგონივარ? მინდა გაგათბო და შენი ამბავიც მოვისმინო.

მშიერ ადამიანს იოლად დაიყოლიებ. მსახურმა მანქანის კარი გამოაღო და ერთი წუთის შემდეგ ისინი უკვე სიბნელეში მიჰქროდნენ.

როუზმერი თავს გამარჯვებულად თვლიდა. ისე უყურებდა პატარა ტყვეს, თითქოს ეუბნებოდა: ახლა კი ჩემს ხელში ხარო. თავის საქციელი ძალიან დიდ გულკეთილობად მიაჩნდა. სურდა ყმაწვილი ქალისათვის ეჩვენებინა, ცხოვრებაში არაჩვეულებრივი ამბებიც ხდება, ნამდვილად არსებობენ ზღაპრული ფერიები, მდიდრებსაც აქვთ გული და ქალებს შეუძლიათ ერთმანეთს დობა გაუწიონ. როუზმერი უეცრად მიუბრუნდა ყმაწვილ ქალს:

— ნუ გეშინია, ვითომ რატომ არ უნდა წამოხვიდე? მეც ხომ ქალი ვარ. თუ ბედმა გამიღიმა, შენ უნდა...

ბედზე მანქანაც შეჩერდა, თორემ როუზმერიმ არც კი იცოდა, როგორ დაებოლოებინა სიტყვა. ზარი დარეკეს, კარი გაიღო. როუზმერიმ გოგონას ნაზად მოჰკიდა ხელი და ოთახში შეიყვანა. მასპინძელი თვალყურს ადევნებდა, როგორ იმოქმედებდა სტუმარზე სითბო, სიწყნარე, სინათლე და სასიამოვნო გარემო, რაც მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, და რაზედაც არასოდეს უფიქრია. როუზმერის მოსწონდა თავისი საქციელი. ის იმ პატარა მდიდარ გოგონას მოგაგონებდათ, რომელიც თავის ოთახში ყველა კარადასა და ყუთს ხსნის, რომ სხვას უჩვენოს.

— ზემოთ ავიდეთ, ჩემს ოთახში, — სთხოვა ყმაწვილ ქალს მასპინძელმა. როუზმერი კვლავ დიდსულოვნად იქცეოდა. იმდენი მოახერხა, რომ ეს პატარა არსება მსახურებს არ დაანახვა, ჟინისაც არ დაუძახა, გახდაშიც თვითონ წაეხმარა. მადლისთვის მარილიც ხომ უნდა მოეყარა!



— ესეც ჩემი ოთახი, — წამოიძახა როუზმერიმ, როცა დიდსა და ლამაზ საწოლ ოთახს მიადგნენ. ოთახში ფარდები ჩამოშვებული იყო, გაპრიალებულ ავეჯზე ოქრომკედით ნაქარგ ბალიშებზე, ყვითელ და ლურჯ ხალიჩებზე ცეცხლის ენები ციმციმებდა.

ყმაწვილი ქალი გაოგნებული იდგა კართან. როუზმერის არ შეუხედნია მისთვის.

— აქ ჩამოჯექი, — მიიპატიჟა და სკამი ცეცხლთან მიუდგა. — მოდი, გათბი, გეტყობა, ძალიან გცივა.

— ვერა ვბედავ, ქალბატონო, — უთხრა ყმაწვილმა ქალმა და უკან დაიხია.

— ნუ გეშინია, გეთაყვა, დაჯექი, პალტოს გაიხდი, მეორე ოთახში



— ნუ კეშინია, მე ვიზრუნებ შენზე. ნუღარასოდეს იტირებ. კიდევ კარგი, რომ შემხვდი, დაგეხმარები. ნუ სტირი, გეთაყვა, დაიღლები.

გოგონა დაწყნარდა. როუზმერი წამოდგა და ჩაიც შემოიტანეს. სტუმარს მაგიდა წინ დაუდგა, თვითონ კი მის პირისპირ დაჯდა. სენდვიჩით, პურითა და კარაქით გაუმასპინძლდა პატარა არსებას. გამოცლიდა თუ არა ჭიქას, ჩაის დაუსხამდა, ნაღებს უმატებდა და შაქარს უყრიდა. როუზმერი არ ჭამდა, სიგარეტს ეწეოდა, თავი ისე ეჭირა, რომ სტუმარს არ დაერცხვინა.

ჭამის შემდეგ, როცა სუფრა აალაგეს, გოგონა ისე გამოცოცხლდა, თითქოს სულ სხვა ადამიანი გადაწოლილიყოს სავარძელში. შინდისფერი ტუჩები, ღრმა და ცოცხალი თვალები ჰქონდა. თმა გასწეწოდა და ცეცხლის ალს შეჰყურებდა. როუზმერიმ ახალ სიგარეტს მოუკიდა და ნაზად ჰკითხა:

— უკანასკნელად როდის ჭამე?

ამ დროს კარის სახელური გადატრიალდა და ფილიპის ხმა მოისმა:

— შეიძლება?

— მობრძანდით.

ფილიპი შემოვიდა. — ო, ბოდიშს ვიხდი, — წარმოთქვა და შეჩერდა, ყმაწვილ ქალს დააცქერდა.

— არაფერია, — გაიღიმა როუზმერიმ. — ეს ჩემი მეგობარია, გაიცანი, მი...

— სმიტი, ქალბატონო, — მიაშველა განაბულმა და უკვე მოშინაურებულმა სტუმარმა.

— სმიტი, — გაიმეორა როუზმერიმ. — ჩვენ ახლა საუბარს ვაპირებდით.

— კეთილი, — ფილიპმა უცბად თვალი მოჰკრა იატაკზე დაგდებულ პალტოს და ქუდს. მერე ბუხარს მიუახლოვდა, „რა ცუდი ამინდიაო", — ჩაილაპარაკა. შემდეგ კვლავ სტუმარს შეხედა, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა. ბოლოს თვალი შეავლო ქალის ხელებს, ფეხსაცმელს და მეუღლეს გადახედა.

— მართლაც ცუდი ამინდია, საძაგელი ამინდია, — სიტყვა შეაგება როუზმერიმ.

გავიდეთ და ჩაი დავლიოთ. შინაურულად მოიქეცი, რატომ ღელავ? — როუზმერიმ სკამზე დასვა გამხდარი გოგონა.

სტუმარი დუმდა, არც ინძრეოდა. ხელები ძირს დაეშვა და გაკვირვებული იყურებოდა. შეშლილსა ჰგავდა, მაგრამ როუზმერი ისე დაჰყურებდა სტუმარს, თითქოს ვერაფერს ამჩნევსო, და ეუბნებოდა:

— ქუდს არ მოიხდი? ეგ მშვენიერი თმა სულ დაგსველებია. უქუდოდ უკეთ არ იგრძნობ თავს? — როუზმერის ჩურჩული მოესმა: — კეთილი, ქალბატონო, — და სტუმარმა დაჭმუჭნული ქუდი მოიხადა.

— მოდი, პალტოსაც გაგხდი, — შესთავაზა მასპინძელმა.

სტუმარი წამოდგა, სკამს დაეყრდნო, როუზმერიმ პალტო გახადა. თვითონ გოგონა ხელს ვერ ანძრევდა, ღონე აღარა ჰქონდა, კანკალებდა. „თუ ადამიანს დახმარება სურს, თვითონაც უნდა გაანძრიოს ხელი, ისე არაფერი გამოვა", — ფიქრობდა როუზმერი. მასპინძელმა არ იცოდა, სად წაეღო პალტო და ქუდი, ბოლოს იატაკზე დააწყო. ის-ის იყო ბუხრის თავიდან როუზმერი სიგარეტის აღებას აპირებდა, რომ გოგონამ მოუფიქრებლად, სწრაფად და უცნაურად წამოიძახა:

— მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ თუ არ მაჭმევთ, გული წამივა.

— ღმერთო ჩემო, როგორ ვერ მოვიფიქრე! — როუზმერიმ ზარი დარეკა, — ჩაი, ჩაი და ბრენდი, ჩქარა მოიტანეთ!

მოსამსახურე გავიდა, გოგონამ კი თითქმის წამოიტირა:

— არა, ბრენდი არ მინდა. ბრენდი არასოდეს დამილევია. მხოლოდ ფინჯანი ჩაი დამალევინეთ, ქალბატონო. — ყმაწვილი ქალი ცრემლად იღვრებოდა.

საშინელი და ამავე დროს საოცარი წუთი დადგა. როუზმერიმ მის სკამთან დაიჩოქა.

— ნუ სტირი, ნუ სტირი, — აწყნარებდა მასპინძელი. როუზმერის გული აუჩუყდა, არშიამოვლებული ცხვირსახოცი გაუწოდა ქალს და მხარზე ხელი მოხვია.

ყმაწვილი ქალი აღარ მორცხვობდა, აღარაფერი ახსოვდა, ახლა მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ ორივენი ქალები იყვნენ.

— მეტს ვეღარ გავუძლებ, ვეღარ ავიტან, ვეღარ. თავს მოვიკლავ, მეტის ატანა აღარ შემიძლია, — გაიძახოდა იგი.

— თუ შეგიძლია ბიბლიოთეკაში შემოდი ერთი წუთით, მე მგონი, გვაპატიებს მის სმიტი, — მომაჯადოებელი ღიმილით თქვა ფილიპმა

მის სმიტს თვალები გაუფართოვდა, ფილიპს შეხედა. როუზმერიმ სტუმრის მაგიერ უპასუხა: — რასაკვირველია, გვაპატიებს. — ორივენი ოთახიდან გავიდნენ.

როცა მარტონი დარჩნენ, ფილიპი შეეკითხა:

— მითხარი, ვინ არის ეს ქალი? რას ნიშნავს ეს ყველაფერი? — როუზმერიმ გაიცინა და თან კარი მიხურა.

— ამ ქალს კურზონსტრიტზე გადავეყარე. ფინჯანი ჩაის დასალევი ფული მთხოვა, მე კი შინ წამოვიყვანე.

— ახლა რას უპირებ? — შეეკითხა ფილიპი.

როუზმერიმ სწრაფად მოუჭრა:

— კარგად მოექეცი, ყურადღება მიაქციე, ხომ შეგიძლია. ჯერ არ გვისაუბრია. აგრძნობინე, რომ გეცოდება — გაუმასპინძლდი.

— ჩემო ძვირფასო, ხომ არ გაგიჟებულხარ. რა საჭიროა?

— ვიცოდი, რომ ამას მეტყოდი, — მკვახედ უპასუხა როუზმერიმ. — თუ კი სურვილი მაქვს, რატომ არ უნდა დავეხმარო? განა ეს საკმარისი მიზეზი არ არის? ესეც არ იყოს, ასეთ ამბავზე რამდენი რამ წაგვიკითხავს. მეც გადავწყვიტე...

— კეთილი, — ფილიპმა სიგარეტი მოკვნიტა, — მის სმიტი საოცრად ლამაზი ქალია.

— ლამაზი? — გაკვირვებისაგან გაწითლდა როუზმერი, —მართლა? მე კი ამაზე არც მიფიქრია.

— ღმერთო, დიდებულო! — ფილიპმა ასანთს გაჰკრა. — ნამდვილად მშვენიერი ქალია, ერთხელ კიდევ დააკვირდი, ჩემო კარგო. როცა ოთახში შემოვედი, განვცვიფრდი, თუმცა... ვფიქრობ, ვცდები. ვწუხვარ, ძვირფასო, თუ უხეშად მოგექეცი. ახლავე მითხარ, მის სმიტი დარჩება თუ არა სადილად ჩვენთან? „მილინერ გაზეთი" უნდა გადავათვალიერო.

— რა სულელი ხარ! — უთხრა როუზმერიმ და ბიბლიოთეკიდან გავიდა, მაგრამ საწოლ ოთახში აღარ დაბრუნებულა. თავის კაბინეტში შევიდა და საწერ მაგიდას მიუჯდა. „ლამაზია! ნამდვილად მშვენიერია!" — როუზმერის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. „მომაჯადოებელია! მშვენიერია!" როუზმერიმ ქვითრების წიგნაკი ხელში აიღო, მაგრამ ახლა ქვითრები რაში გამოადგებოდა. უჯრა გახსნა, ხუთი გირვანქა სტერლინგი ამოიღო, დახედა, ორი უკანვე ჩადო, დანარჩენი აიღო და საწოლ ოთახში დაბრუნდა.

ნახევარი საათის შემდეგ როუზმერი ბიბლიოთეკაში შევიდა. ფილიპი ჯერ კიდევ იქ იყო.

— მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ მის სმიტი ჩვენთან არ ისადილებს, — დაიწყო როუზმერიმ, კარს მიაწვა და ფილიპს უცნაურად შეხედა.

ფილიპმა გაზეთი გვერდზე გადასდო. — რა მოხდა? — როუზმერი ფილიპს მიუახლოვდა და მუხლებზე ჩამოუჯდა.

— წასვლა აიხირა, მე კი ცოტაოდენი ფული ვაჩუქე იმ საცოდავს და გავისტუმრე, აღარ დავაკავე. შენ როგორ ფიქრობ? — ნაზად ჰკითხა როუზმერიმ ფილიპს და ალერსი დაუწყო. როუზმერის თმა ხელახლა დაევარცხნა, წამწამებიც შეეღება და ყელზე მარგალიტის ყელსაბამი გაეკეთებინა.

— ხომ მოგწონვარ? — ჰკითხა ფილიპს. ქალის ნაზმა, დაბალმა ხმამ ფილიპი ააღელვა.

— ძალიან. — უპასუხა ფილიპმა და როუზმერის ხელი მოუჭირა, — ცოტა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

როუზმერის უეცრად კოლოფი გაახსენდა:

— დღეს არაჩვეულებრივი პატარა კოლოფი ვნახე მაღაზიაში. ოცდარვა გინეა ღირს, ვიყიდო?

ფილიპი ნაზად არწევდა მუხლებზე როუზმერის.

— რასაკვირველია, იყიდე, ჩემო მფლანგველო გოგონა.

მაგრამ როუზმერი ამის თქმას არ აპირებდა, მას სხვა რამ აწუხებდა.

— ფილიპ, — ჩაიჩურჩულა და ფილიპის თავი მკერდში ჩაიკრა, — ლამაზი ვარ?

ინგლისურიდან თარგმნა სოფიო კახიანმა.

რუთა ბეროძე

# ერთი წარწერა დაუწერელი



ფიჭვების ტევრში გრანიტის ქვები —
ზოგი გვარით და ზოგი უგვაროდ...
ერთი წარწერა დაუწერელი
საძმო საფლავებს აქვს სამუდამო:
„ჩვენ თუმცა უცხო მიწაში ვწევბით,
არ ვიკარგებით უგზო-უკვალოდ".

მწარედ ახრჩოლებს ჩათვლემილ ვულკანს
ნაღმით დაჭრილი მიწა ბულდურის.
ოცი წლის შემდეგ მახედებს უკან
ფიქრი, დახშული მძიმე ურდულით —
იქნებ, აქ ჩემი კოხტა მიწა-წყლის
შვილმაც დატოვა სუნთქვა ნიავად?
თეთრი თოლია კვნესით იძახის:
მე არაფერი გამიგია რა!



მიფრინავს ზღვისკენ სევდით კაცურით,
მზე იწურება მწუხრისას როცა..
ცა არის ფრთებით გადაკაწრული
და ჰგავს საფლავზე დაფენილ დროშას

მთვარისა კერესელიძე

# მიტოვებული სახლი

დიდი ხანია ფერწასული დგას იგი ოდა,
იმის დირეზე ისვენებდა მთვარე ნამგზავრი...
და როცა დიდი გრიგალი ქროდა,
გზას გაუყენა ოთხი შვილი პატარა ოდამ
და ოთხი მუჭა მიწა იყო მათი საგზალი.

და მოიწყინა პატარა ეზომ...
დირეზე თუმცა წამოსკუპდა მთვარე დაღლილი,
თუმც სიმარტოვეს განიცდიდა ბოლო ჟამს ეზომ,
ყოველი დილა ახარებდა მაინც ბალღივით.

დაკარგულ მიწას მისტიროდა პატარა ეზო..
და ძველებურად ისევ იდგნენ დიდი ფიჭვები...
და დღესაც დგანან და იქნევენ მომწვანო ხელებს...
ეზოს ბოლოში, როგორც ცელქი სოფლის ბიჭები
თავდავიწყებით გამორბის ღელე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ႢႠႫႭႻႠႾႤႡႠ ႶႠႫႨႧ

მაყვალა აბუაშვილი ამჟამად არ მუშაობს ამწეზე, სამღებრო საამქროში დეტალების გამანაწილებლად დააწინაურეს. ერთ ღამეს ძალიან დასჭირდათ მეამწე და მაყვალას მიაკითხეს.

— სად მიდიხარ? —უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ვალერიმ, —მეამწე არა ჰყავთ, თუ რა?

— რადგან მეძახიან, ალბათ, საჭირო ვარ. იქნებ სხვა საქმეც არის. გუშინწინ თითქმის მთელი ღამე ქარხანაში რომ გაათიე, ხომ არაფერი მითქვამს?

— ო, ეგ უკვე სხვაა, ჩარხი რომ არ შეგვეკეთებინა, მეორე დღეს ხარატები უსაქმოდ იქნებოდნენ.

— აი, ხომ ხედავ, აქაც სულ სხვაა, ჩარხი რომ არ გადავიტანოთ, არ შეღებონ, არ შეფუთონ, ხვალ რას გაუგზავნიან შემკვეთს?

ვალერიმ მხრები აიჩეჩა, მაყვალა კი ქარხანაში წავიდა.

...სამღებრო საამქროში სხვა საამქროებთან შედარებით ყოველთვის სიწყნარეა. მუშები ზოგჯერ ვერც ეგუებიან ამ სიწყნარეს. კაცმა რომ თქვას, მართლაც, მოსაბეზრებელია მდუმარე ჩარხებთან ტრიალი. ჩარხი უნდა გრიალებდეს, უხდა ჭრიდეს, უნდა ღარავდეს, ერთი სიტყვით, რაღაცას უნდა აკეთებდეს. მაგრამ, სანამ იგრიალებდეს, გაჭრიდეს, გაღარავდეს და, საერთოდ, რაღაცას გააკეთებდეს, ხომ უნდა შექმნა იგი. და სწორედ ამ საქმეს აკეთებენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში. სამღებრო საამქრო ოცდამეთორმეტეა საწარმოში. აწყობილი, დამზადებული ჩარხი ყველაზე ბოლოს მოდის აქ. ამწყობები ფიქრობენ, რომ მათი საამქრო ძირითადია საწარმოში. მზა ნაწილები თუ არ ააწყვე, თუ არ შეჰკარი, ყველაფერს თავისი ადგილი არ მიუჩინე, ჩარხიც არ იქნება. სხვაგვარად ფიქრობენ მღებავები: მზა პროდუქცია თუ არ შეღებე, არ გაალამაზე, არ შეფუთე, როგორ უნდა გაგზავნო იგი შორეულ გზებზე? სამღებრო საამქროდან კირდაპირ ვაგონებში იტვირთება ჩარხები. ერთი სიტყვით, შემკვეთებს უშუალოდ მღებავების ხელიდან ეგზავნებათ პროდუქცია. ახლა გაიგე, რომელია ძირითადი საამქრო, საამწყობო თუ სამღებრო, რომ არაფერი ვთქვათ მექანიკურ, მექანიკურ-საამწყობო, საიარაღო, ხის დამმუშავებელ, ელექტრო, სარემონტო და სხვა საამქროებზე, რომლებიც თანაბრად იზიარებენ ჩარხის შექმნის სიძნელეებს.

ასე ფიქრობს მაყვალაც. ასე ფიქრობდა იგი მაშინაც, როცა პირველად შეაღო ამ საამქროს უშველებელი კარი. ეს იყო 1958 წელს. ჯერ მოწაფედ იყო, მერე მეამწის პროფესიას დაეუფლა და ეს პატარა ქალი შვიდი წელიწადი დაატარებდა ამოდენა ამწეს საამქროს თავზე. ვინ მოსთვლის, რამდენი ჩარხი გადაიტანა მან ამ ხნის მანძილზე. სად არის ახლა ეს ჩარხები? ისინი ყველგანაა, ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა დიდ ქარხანაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, ავსტრიაში, თურქეთში, ჩინეთში, არაბეთში...

ახლაც სიწყნარეა სამღებროში, უხმაუროდ იღებება უზარმაზარი სახარატო ჩარხები. საქმე ყელამდე აქვთ მღებავებს, მაშ, რისთვის გამოიძახეს ასე გვიან სახლიდან მაყვალა აბუაშვილი?

— მოგვბეზრდა, კაცო, ეს სიჩუმე,— წარმოსთქვა ვიღაცამ.

— ამისთვის დამიძახეთ? —თითქოს გაბრაზდა მაყვალა.

— განა მართლა ასეა. აგერ, ახალი ჩარხი მოგვაყენეს საამწყობოდან, ხედავ? —თქვა ერთმა მუშამ.

— დავუძახებდით სხვა მეამწეს, მაგრამ ჩვენს გემოზე გვინდა დავაყენოთ ჩარხი, —დაუმატა მეორემ.

— სად გინდათ?— იკითხა მაყვალამ.

— აი აქ. აქ დადგამ და მერე თავისუფალი იქნები.

— კარგი, მაგრამ ჯერ ეს ჩარხი უნდა გადავაადგილოთ, ხელს შეგიშლით.— მაყვალამ ტანსაცმელი გამოიცვალა და რკინისსაფეხურებიან კიბეზე აირბინა.

— ვინ აწვალა მანქანა? —ჩამოსძახა მუშებს.

— ხელი არავის უხლია.

— არავის უხლია, მაშ თავისით ჩაერთო დენი, არა?

მუშებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ხომ არავის გიხლიათ ხელი? — იკითხა ოსტატმა.

— ალბათ, შემცვლელს დარჩა.

— ჰო, ასე იქნება.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდურა ამწე კედლის გასწვრივ, ზედ ჭერთან დაგებულ რკინის ლიანდაგზე დგას. კაბინაში ხის სკამზე ჟურნალ „იუნოსტის“ რომელიღაც ნომერი გადაშლილი დევს და აქა-იქ მაზუთიანი თითების ანაბეჭდი ამჩნევია. მაყვალამ კაბინის კუთხეში რკინის პატარა ნაჭერი იპოვა, ჟურნალში ჩადო და დახურა.

კაბინაში სამი რგოლური საჭეა. ერთი ვერტიკალურად ამოძრავებს გვარლს, მეორე სწევს ქვევით და მაღლა, მესამეს კი მთელი ამწე გადააქვს ხან წინ, ხან უკან.

მაყვალამ მესამე საჭე დააბრუნა. უშველებელი ამწე გრუხუნითა და ძაგძაგით წავიდა კარისაკენ.

— ჰოპ, კარგია!

— ცოტა წინ!

— ეყოფა!

— დაუშვი!

და გვარლი დინჯად დაეშვა ქვევით, მუშებმა კაუჭი ამოსდეს ჩარხს. მაყვალა კაბინის ფანჯრის რაფას იდაყვებით დაყრდნობია და უყურებს, თუ როგორ დაამაგრებენ კაუჭზე ჩარხს.

— კარგია, „ვირა“!

„ვირა“ აწევას ნიშნავს. საიდან მოვიდა ეს სიტყვა, არც მაყვალამ იცის და არც სხვამ. მაგრამ „აწიეს“ მაინც არავინ ამბობს.

და ასწია, დაახლოებით ხუთტონიანი ჩარხი მოშორდა იატაკს, მოშორდა და მეამწის ხელმა იგრძნო, რომ ჩარხმა ისევ ქვევით დაიწია, თანაც გვერდზე გადაქანდა. გვარლი ისევ დაეშვა და ჩარხი ძველ ადგილზე დადგა. თურმე კაუჭი არასწორად ყოფილა ამოდებული. ამას შეიძლებოდა რაღაც მოჰყოლოდა, რა? შეიძლება ვინმეს დასცემოდა თავში, ან თვითონ ჩარხი დაზიანებულიყო.

მაყვალამ მოითხოვა, ჩარხი წესიერად დაემაგრებინათ კაუჭზე.

ხუთტონიანი ჩარხი გვარლმა ისევ აიტაცა და ხიდურა ამწე გრუხუნით დაიძრა წინ. დადგეს, არ მოეწონათ, ისევ ასწიეს, ჰაერში შეაბრუნეს, შემოაბრუნეს, კვლავ დადგეს. ისევ არ მოეწონათ. ბოლოს, როგორც იქნა, მოუნახეს ადგილი.

— რომელი საათია? —კითხულობს მაყვალა. მუშები საათებზე იცქირებიან. უკვე გვიანაა.

— გაგაცილებთ.

— არა, არ მინდა. მე ხომ აქვე ვცხოვრობ.

შინ მისულს, ბავშვი დაძინებული დახვდა, ქმარი იჯდა და უცდიდა.

— ხვალ როგორმე შენ უნდა მოიყვანო ბავშვი ბაღიდან, —უთხრა ვალერიმ.

— რატომ?

— ხუთ საათზე უნდა წავიდე.

— სად?

— სად და ამხანაგმა ბინა მიიღო, ავეჯი უნდა გადავატანინოთ.

— ჩვენც მოგვეხმარებიან?

— რაზე?

— რაზე და ჩვენც რომ მივიღებთ...

— ჰო, მოგვეხმარებიან, მთელი ბრიგადა მოგვეხმარება.

ივერი ტაბიძე

ვახტანგ კახაძე

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ნანა მესხიძე



ვინ იცის, რამდენჯერ მოატყუა ბებია ყურმა, რამდენჯერ შემოესმა ურმის ჭრიალი, ჭიშკრის ხმაური თუ ნაცნობი ჩახველება, მაგრამ აბიათარ ბაბუა არა და არა ჩანს.

ვზივარ ცეცხლის პირას, ძილბურანი მერევა, მაგრამ არ მინდა ბებიას მარტოდმარტო დატოვება.

ლობიო კარგა ხანია დამზადდა, ღერღილის ღომიც რა ხანია შეზელილია და ფშვინავს. ხან საიდან ამოიფრქვევა ორთქლი და ხან — საიდან. ნელ ცეცხლზე შემოდგმული ქვაბის თუხთუხს კრუალას მოუსვენრობაც ერთვის და ესეცაა, ძილბურანში რომ მაგდებს.

დაბალ ჯორკოზე ვზივარ. ჩავყვინთავ, ნიკაპს ჩემსავე მუხლზე ვირტყამ და ის მაფხიზლებს, თორემ აქამდე ჩამეძინებოდა.

კიდევ ერთხელ მოატყუა ბებია ყურმა. მოხუცმა კარი გამოაღო. სამზადში შემოჭრილმა ნიავმა ჭრაქის ალი ააბარბაცა...

მამლების პირველ ყივილს ტურების კივილი მოჰყვა ლიკლიკახევის ტყიდან.

— თქვენი თავები ამოიჭამეთ, თქვე ვერანებო, თქვენა!— მიაწყევლა ტურებს ბებიამ.

ტურების კივილი რომ მიწყდა, მოკენჭილ გზაზე აშკარად გაისმა ურმის ხმაური.

მზეხათუნ ბებიამ თავის განუყრელ ბზის ჯოხს დაავლო ხელი და კარში გავარდა, თან სიტყვა დამიგდო: „კიჭონია (ბებია სიყვარულით ასე მეძახდა), შენ აქ იყავ, მაგ კატამ არ იეშმაკოს, მაგ კუდმოსაგლეჯმა, მაგანაო“.

კატა ეშმაკობას არ აპირებდა. ცეცხლის პირას გაფუყული თვლემდა და წყნარად კრუტუნებდა, მაგრამ უფროსების სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო და მეც დავემორჩილე. ეს რომ არა, ცეცხლთან რაღა გამაჩერებდა, მეც კარში გავვარდებოდი: ბებიაზე ნაკლებ როდი ველოდებოდი ბაბუას და მის დანაპირებ ოჩაფეხებს.

ურემი მძიმედ შემოჭრიალდა ეზოში.

— მაამო-ო, ჰო! — გაისმა ბაბუას ალერსიანი ხმა და ურემიც სახლის ლაფაროში დადგა.

— ვაშალომიძის ქალო, სტუმრებიც მახლავს! აბა, შენ იცი და შენმა კაი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალობამ! —დაიძახა ბაბუამ და რცხილის სახრე იქვე მიაგდო.

— წავალთ, აბიათარ. ჩვენ რა სტუმრები ვართ!

ხმაზე ვიცანი მათე ბაბუა.

— ჰო, წავალთ, შე კაცო, უცხოები ხომ არა ვართ! —კვერი დაუკრა მათეს კოსტამაც. ისიც კარგად ვიცანი ბებრული, გაბზარული ხმით.

— მოიცათ, თქვე ოჯახაშენებულებო. ერთი არაკისა არ იყოს, ვიღაცამ ძროხას დანა კუდზე გადაატეხაო, ისე კი ნუ მიზამთ. რადგან მადლი მიყავით, მარილიც მოაყარეთ! ბარემ ურემიც გამაცლევინეთ!

აბა, სადღა წაუვიდოდნენ აბიათარის ამ სიტყვებს.

— კიჭონია, აქ მო!—შემომესმა ბებიას ხმა.

მეც ეს მინდოდა. ხატაურა სულმთლად მორგოლილიყო და ისე გემოზე ეძინა, კაცს შეეხარბებოდა; კრუალა კი კვლავინდებურად მოუსვენრობდა კვერცხებზე გადაფაფრული დედლის ბუდის იქით, კუნჭულში.

ბებიამ ქვისკეცზე ბაიისფერი მჭადი რომ გამოაცხო, იმხელა მთვარე ბარბაცობდა ცის ტატნობზე.

მოხუცის ხელში ჭურის სარცხი რომ დავინახე, გამიკვირდა.

— რად გინდა, ბებო, ეგა?

— ნახავ, რადაც მინდა. აბა გამომყე!

— ჩემი ოჩაფეხები?!

— ბიჭო, როდის ყოფილა, ბაბუაშენს სიტყვა გაეტეხოს. მოგიტანა, მაშ არ მოგიტანა?

სიხარულით ცას ვეწიე.

ბებია და მე ბიებთან მივედით. ბიებზე რიგ-რიგად ეძინათ ქათმებს..

ბებიამ სარცხი მოიმარჯვა. ქვემოთ, განცალკევებით მჯდომ ერთ ბაყაჩო დედალს გულ-მკერდთან მიუტანა და რამდენჯერმე უბიძგა. დედალი შეინძრა ერთხელ, შეინძრა მეორედ და ეგრევე თვალდახუჭულ-დაძინებული გადმოჯდა თავბუთქა სარცხზე. მოხუცმა ნელ-ნელა დაუშვა სარცხი. დედალს ხელი დაატანა და ფრთის ქვეშ ამოურგო თავი. მიწაზე დავარდნილ სარცხზე კი მანიშნა, წამოიღეო...

— ბებო, რატომ ჩამოვიყვანეთ ეგრე უჩუმრად?

— ასე იყო საჭირო, შვილო!

— მაინც რატომ?

— მაგასაც გეტყვი, ახლა კი წადი, ბაბუაშენს უჩურჩულე, მოვიდეს.

ბაბუა და მისი სტუმრები ურმიდან მძიმე ჯირკებს ცლიდნენ. ურმის ბორბალზე მიყუდებული ჩემი ოჩაფეხები დავინახე.

აბიათარ ბაბუას ბებიას დანაბარები რომ გადავეცი, ყასიდად ესეც ვუჩურჩულე:

— ბაბუ, ჩემი ოჩაფეხები?!

— აგერ შენი ოჩაფეხები!..

ოჩაფეხებს ხელი დავავლე, ზედ შევსკუპდი და ბაბუას მაღლიდან გადმოვხედე...

აბიათარ ბაბუამ სახლის უკან მდევკაცივით გაწოლილი, დამხობილი საწნახელიდან წალდი გამოიღო. ისე მტერი აგიცეკვდეთ, როგორც ის ჩვენი დედალი მოჰყვა როკვას.

ბებიამ სამფეხზე შედგმულ მდუღარეწყლიან კარდალში ამოავლო ქათამი, სუქი-სუქიო! — დასძახა და გაპუტვას მოჰყვა.

—ბებო, არ მეტყვი, რატომ ჩამოიყვანე ქათამი ისე უჩუმრად?

— მაცა, მაგასაც გეტყვი, ჩემო გულისბარაქალა ბიჭო. ცოტა დამაცა, ჯერ ამას მივხედო!..

ბებიამ შამფურზე გააკრა ბაყაჩო დედალი. აჰა, ეს შამფური ასე დაიჭირეო, თვითონ კი თახჩა გამოაღო, მუცელგაბერილი ხარაქოთანი გადმოიღო, ნიორი მოიძია და მის ნაყვას მოჰყვა. მერე დინჯად დაიწყო:

— ეხ, კიჭონია, შენ ბალღი ხარ. ჯერ რა იცი, ოჯახი რა განძია. ოჯახი არც დიდი ეზო-კარია და არც ოთხი დიდი კედელ-ყურე. ზოგს დიდი ეზო-სახლი აქვს, ცოლიცა ჰყავს, შვილებიც უხვად არტყია გარს, მაგრამ ოჯახი!.. — როდინიდან კოვზით გადმოახვავა ბარქაშზე ნიორი, მერე, წყლით რომ გააზავა, განაგრძო: — თუ ვინმეს ჩვენზე ავი უდევს გულში, ამ შუაღამისას ქათმის კრიახი გაუხარდებოდა: ,,ო, ხო, ხო, ხო... შენი გულისა!.. შეშლილა ბერიკაცი, თორემ ამ უდროო დროს დედაბერს სტუმარს მიაყენებდაო?" ახლა მის მეგობრებს კი ესიამოვნებოდათ ჩურჩულ-ბუზღუნი ან ქათმის კრიახი რომ გაეგოთ? არ დაგიმალავ, ზოგი ძალადაც ააკრიახებს, რაა, იქნებ, სტუმარმა გაიგონოს და გამაშვებინოსო. ეხ, შვილო, არის ასეთი ოჯახებიც... ოჯახი... ოჯახის სახელს თვალის ჩინივით უნდა გაფრთხილება, შვილო...

— ო, კარგად შემწვარა, ახლა კი ეგ შამფური ასე შემოვაბრუნოთ...

მალე ნაჭერ-ნაჭერ აჭრილი ქათამი ნიორწყალში ეწყო და სტუმრებიც ენაწყლიანობდნენ. მათი საუბრიდან ბევრი ვერაფერი გავიგე, მაგრამ ერთი კი აშკარად ჩანდა: ბაბუას ურმის ღერძი გასტეხოდა ნეფიჭალაში.

,,ეგენი რომ არა, იქ გავითევდი ღამესო. მოდი, ქალო, ამ წვრილი ჭიქით ამათი სადღეგრძელო შემისვიო..."

მაშინ ვერც ის გავიგე, რას ნიშნავდა: ,,კაცი კაცითა, ღობე ქაცვითაო" — მათემ რომ წარმოთქვა პასუხად...

არ მახსოვს, იმ ღამეს ვინ ჩამაწვინა ლოგინში. რომ გამოვიღვიძე, ბიებზე არც ერთი ქათამი აღარ იყო. ჰა და ჰა, საცაა მზეც ამოჰყოფდა თავს. ჩვენი ოჯახი უკვე ფეხზე იდგა. აბიათარ ბაბუამ ხარები შეაბა და წინ გაუძღვა.

საჩქაროდ გადავიცვი და ჩემი ოჩაფეხებით მის კვალს დავედევნე. ბებიას ეზოს დაგვავც, ჭიშკრის გაღებაც მოესწრო და ახლა, მეისრე რომ ელის მატარებლის გავლას, ისე ელოდებოდა ხარურემსა და ბაბუას, ოღონდ მეისრისაგან განსხვავებით, ალმის ნაცვლად ხელში ვეება ცოცხი ეჭირა.

— ბაბუ, მშვიდობით!.. მშვიდობით, ბაბუ! — გადავძახე ჩემი ოჩაფეხებიდან.

ბაბუამ პასუხად დამიტატანა, ბებიას კი ჯერ ჩემთვის არა სცხელოდა.

ურემი შარაზე რომ ახრიგინდა და ბაბუამაც კოფოზე მოიკალათა, ბებიამ ამოისუნთქა. მერე, სანამ ურემი თვალს არ მიეფარა, მის კვალს გასცქეროდა. მხოლოდ ამის შემდეგ მოიცალა ჩემთვის.

ჰაუ, რამხელა ქალი ყოფილა ეს ჩემი ჩია ბებია!

## თამარ ერისთავი

* * *

რა ვარ, მიწა ვარ ერთი მისხალი
ჭაუხის კლდეზე ჩამომსხვრეული.
რა ვარ, სხივი ვარ დილა სისხამის,
ხელშეუხები და უსხეულო.

რა ვარ, ნამი ვარ დასაქარგავი
ყვავილიანი მინდორ-მდელოსი.
რა ვარ, სიტყვა ვარ დასახარჯავი
ჩემი სამშობლოს სადღეგრძელოსთვის.

რა ვარ, მე ერთი სიყვარული ვარ,
ზღვაში წვეთ-წვეთად ჩამომდინარი,
ქართველი კაცის ერთი გული ვარ,
ამ სიყვარულით დაუძინარი.

* * *

ჭაუხის ძირიდან მორბოდა არაგვი,
ქაფიან ტალღებით, ქვის ქვაზე ჯახებით,
არაგვის ნაპირას ეყარა ლოდები
კლდიდან მოჩეხილი დროთა ნაჯახებით.

შორს ჩირაღდანივით ჩანდა ნეკერჩხალი,
ცეცხლმოკიდებული ფოთლების ბრიალით,
ქარი უბერავდა ტყეს შემოდგომისას
და ტყეში ისმოდა ფოთლების შრიალი.

იდგა შემოდგომა სახეალეწილი,
ჭაბუკის გულით და დათვლილი დღეებით,
მორბოდა არაგვი ჭაუხის ძირიდან
და მზეზე შრებოდნენ შიშველი კლდეები.



# მწვანე დილომი



ადამიანის კვების რაციონში ბოსტნეულმა თავიდანვე დაიმკვიდრა საპატიო ადგილი. ბოსტნეული მარტო სურნელების მიმცემი საკაზმი როდია. — მასში ბევრია ორგანული მჟავა და ეთეროვანი ზეთი, შაქარი, მადის აღმძვრელი თრიმლოვანი ნივთიერებები და სხვადასხვა ვიტამინი. ჯერ კიდევ ძველი რომაელები ფართოდ იყენებდნენ ბოსტნეულს საკვებად და ზოგჯერ სამკურნალო მიზნითაც. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ერთი გრამი მწვანე ოხრახუში უდრის ერთ კილოგრამ აბს. ოხრახუში აჩქარებს ჭრილობების მოშუშების პროცესს, ამაგრებს ღრძილებს, სასარგებლოა მხედველობისა და თირკმელებისათვის. ნიახურის ფოთლები მდიდარია A და C ვიტამინებით. სახალხო მედიცინა მას იყენებს ნერვული სისტემით დაავადების დროს, მშვიდი ძილისათვის. ვიტამინებით მდიდარია ტკბილი და მწარე წიწაკა. კომბოსტოში ბევრია C ვიტამინი, სტაფილოში — A ვიტამინი, კარტოფილში — სახამებელი. ისპანახი, მწვანე სალათი და სხვა ფოთლოვანი ბოსტნეული შეიცავენ მინერალურ მარილებს — კალციუმს, რკინას და აგრეთვე ვიტამინებს. მწვანილში ვიტამინების გარდა სურნელოვანი ნივთიერებებიც შედის, რაც თავისებურ არომატსა და გემოს აძლევს კერძს.

ჩვენში იშვიათია სოფელი, სადაც თითოეული მოსახლის კარ-მიდამოს არ ამშვენებდეს ბოსტანი. ქართული სუფრის ლაზათი და შნო — საკაზმია

ქალაქის მოსახლეობას არ უნდა მოაკლდეს ბოსტნეული! ამ მიზნით შეიქმნა ქალაქების ახლოს საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ახალ-ახალ ბოსტნეულსა და მწვანილს აწვდიან სავაჭრო ობიექტებს.

ახლა ნამდვილი გაზაფხულია დილმის საბჭოთა მეურნეობაში. ყვავიან ხეხილის ბაღები, აფეთქე-



ბულან თეთრი ნუშები, ვარდისფერი ატმები, ბროწეულები.

1957 წლამდე სოფელ დიღომში არსებობდა კოლმეურნეობა. მერე ის საცდელ მეურნეობად გადაკეთდა. ორი წლის წინ კი აქ შეიქმნა დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ორ სოფელს—დიღომსა და ლისს აერთიანებს. მეურნეობა ახალგაზრდაა, მაგრამ მოწინავეთა რიგებში დგას.

ბოსტნეულის მოსავლიანი ფართობი 140 ჰექტარია. მეურნეობის მუშებს მოჰყავთ პამიდორი, კომბოსტო, კიტრი, სუფრის ჭარხალი, ბადრიჯანი, სტაფილო და თითქმის ყველა სახის მწვანილი. გაშლილი ველების ნაწილი, რომელიც ძლიერი ქარების გამო აქამდე გამოუყენებელი იყო, ახლა ათვისებულია. 30 ჰექტარ ფართობზე გაშენდა ქარსაცავი ზოლი.

შარშან მეურნეებმა 39 ჰექტარზე დარგეს ბულგარული ჯიშის ხეხილი, 53 ჰექტარზე ვენახი გააშენეს. გათვალისწინებულია, რომ ყოველ გაზაფხულზე დაირგას ათასობით ძირი ხე.

დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ახალ-ახალ ბოსტნეულს და მწვანილს აწვდის დედაქალაქის მშრომელებს. შარშან მეურნეობამ სავაჭრო ორგანიზაციებს 13.000 ტონის ნაცვლად 13.120 ტონა ბოსტნეული მიჰყიდა.

მეურნეობის მუშაკები ზრუნავენ, რათა ბაზრებსა და სავაჭრო ფარდულებში ყოველთვის იყოს ახალი ბოსტნეული და მწვანილი, რომ თბილისის მოსახლეობას არ მოაკლდეს სრულფასოვანი ვიტამინები. ზამთარში ეს ადამიანები სათბურებში შრომობენ, ადრიან გაზაფხულზე კი მინდვრად გადიან. ბაღებისა და ვენახების დამუშავება, ხეხილის დარგვა, ბოსტნეული კულტურებისათვის ნიადაგის მომზადება, სათბურებში ჩითილების გამოყვანა დიდ შრომას მოითხოვს.

მოწინავე მებოსტნეები არიან მარიამ კოტორაშვილი, ეკატერინე კენჭიშვილი, რუსუდან კოლოტაური, მარიამ სოზიაშვილი, ანეტა აბდულოვი.

ოცდაორი წელია მეურნეობაშია ეკატერინე კენჭიშვილი. იგი მეხუთე ბრიგადის მუშაა. დაუზარებლად შრომობს და ანაზღაურებაც კარგი აქვს.

ფიზიკური გარჯა როდი ეზარება დონეზი კოტორაშვილს. მეათე კლასში იყო დონეზი, მეურნეობაში რომ მივიდა. ახლა ის ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია, დაუსწრებლად სწავლობს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ბეჯითი გოგონა გამოცდილ მებოსტნეებს ამოდგომია გვერდში და მათთან ერთად ინაწილებს საქმეს.

დიდი ხანი არაა, რაც მეურნეობაში მოვიდა აგრონომი ლამარა თაბაგარი. მან თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა. დიღმელებმა ლამარა მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. კომიტეტში ცხრა წევრია. მათ სერიოზული მოვალეობა აკისრიათ და მთელი მონდომებით ეჭიდებიან საქმეს: ამოწმებენ შრომის ანაზღაურებას, ავლენენ მოწინავე მუშებს, ეხმარებიან ჩამორჩენილებს, აჯამებენ საციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, ახალისებენ გამარჯვებულებს...

მეურნეობას 1614 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და რამდენიმე ასეული ცხვარი ჰყავს, რომლებსაც ადგილზე აზამთრებენ. მალე ძველ ფერმებს ახალაგებული მექანიზებული ფერმები შეემატება.

411 ველის წითელი და ადგილობრივი ჯიშის მეწველი ძროხაა დიღმელების ფერმებში. შარშან წველადობის გეგმა მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა, წელს კი მეურნეობის მუშაკები 670 600 ლიტრი რძისათვის იბრძვიან.

მარიამ ჩოხელმა შარშან 17 საფურაჟე ძროხაზე 41 ტონის ნაცვლად 49 ტონა რძე მიიღო, ნასტია სავჩენკომ კი ამდენივე ძროხაზე 44 ტონის ნაცვლად—47 ტონა რძე. მას არ ჩამორჩა და შრომაში თავი ისახელა ახალგაზრდა მწველავმა ანა ბექაურმა.

ი. გიგუში





ფოტო დ. იაკობაშვილისა









# კიბერნეტიკა და კიბერნეტიკოსები

კიბერნეტიკის, როგორც მეცნიერების, წარმოშობა გაპირობებული იყო იმით, რომ ტექნიკა შეიჭრა ადამიანის მოღვაწეობის და ყოფაცხოვრების ყველა სფეროში, საწარმოო პროცესები სულ უფრო მაღალი ტემპით მიმდინარეობდა, ხშირად ისეთი სისწრაფით, რომ ადამიანს არ შეეძლო მათი მართვა, ე. ი. მისი გრძნობის ორგანოები ვერ აწრებდნენ მათ აღქმას.

სიტყვა კიბერნეტიკა ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოაზროვნესთან — პლატონთან გვხვდება. ბერძნულად „კიბერნეტეს" მესაჭეს, მმართველს ნიშნავს.

მე-19 საუკუნეში ფრანგმა ფიზიკოსმა ამპერმა მეცნიერებათა კლასიფიკაციაში კიბერნეტიკაც შეიტანა, როგორც მომავალი მეცნიერება.

1948 წელს ამერიკელმა მათემატიკოსმა ნორბერტ ვინერმა კვლავ შემოიღო სიტყვა კიბერნეტიკა, როცა გამოაქვეყნა წიგნი „კიბერნეტიკა, ანუ მართვა და კავშირი ცხოველსა და მანქანაში", და რომელშიც მოგვცა კიბერნეტიკის საფუძვლები.

არსებობს კიბერნეტიკის სხვადასხვა განსაზღვრება:

1. კიბერნეტიკა არის მეცნიერება, რომელიც მათემატიკური მეთოდებით შეისწავლის მმართველ სისტემებსა და მართვის პროცესებს.

2. კიბერნეტიკა არის მეცნიერება მართვისა და კონტროლის პროცესებზე მანქანებში, ცოცხალ ორგანიზმებსა და ადამიანთა საზოგადოებაში.

3. კიბერნეტიკა არის მეცნიერება ინფორმაციის გადაცემის, გარდაქმნისა და შენახვის პროცესების შესახებ.

ყველა ამ განმარტების აზრი ის არის, რომ კიბერნეტიკა წარმოადგენს დამოუკიდებელ მეცნიერებას იმ კანონზომიერებათა შესახებ, რაც საერთოა ხელოვნური, ბუნებრივი და საზოგადოებრივი სისტემებისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მოქმედი ხელოვნური (ტექნიკური) სისტემა, ცოცხალი ორგანიზმი, ცხოველთა ოჯახი და ადამიანთა საზოგადოება დინამიკურ სისტემებს წარმოადგენენ, მაშინ კიბერნეტიკა განიმარტება როგორც მეცნიერება დინამიკური სისტემების მართვის ზოგად კანონზომიერებათა შესახებ, ან უბრალოდ — მეცნიერება მართვის შესახებ.

მმართველი სისტემა არის მოწყობილობა, რომელიც იღებს ინფორმაციას ობიექტისაგან, გარდაქმნის მას და გადასცემს იმ სახით, რაც აუცილებელია ობიექტის მართვისათვის.

ხოლო ინფორმაცია კიბერნეტიკის თვალსაზრისით ყველა ამ ცნობების ერთობლიობაა, რომლებსაც ადამიანები აწვდიან ერთმანეთს და აგრეთვე, რომლებიც არსებობენ ადამიანების შეგნების დამოუკიდებლადაც.

ადამიანი, რა საქმითაც არ უნდა იყოს დაკავებული, საუბრით თუ შრომის პროცესით, მისი ტვინი განუწყვეტლივ ამუშავებს ინფორმაციას. ადამიანის ტვინისაგან ეს ბუნებრივი და გასაგებია.

სულ სხვაა გამომთვლელი მანქანები, რომლებსაც შეუძლიათ ინფორმაციის მიღება და გადამუშავება. ისინი თავიანთი შესაძლებლობების მხრივ ზოგიერთ შემთხვევაში არა თუ ჩამოუვარდებიან ადამიანს, არამედ სჯობნიან კიდეც მას.

სწორედ, ზოგიერთი ანალოგიის აღმოჩენა ადამიანის ტვინსა და ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს შორის გახდა საფუძველი კიბერნეტიკის, ამ ახალი მეცნიერების შესაქმნელად. უნივერსალური გამომთვლელი მანქანა თეორიულად შეიქმნა კიბერნეტიკის, როგორც მეცნიერების, წარმოშობამდე 1936 წელს მათემატიკური ლოგიკის ჩარჩოებში შეიქმნა ორი შრომა, რომლებშიც სრულიად ზოგადი პოზიციებიდან შესწავლილი იყო ინფორმაციის გადამუშავების პროცესი. ერთ-ერთი ამ შრომათაგანი ეკუთვნოდა ინგლისელ მათემატიკოსს და ლოგიკოსს ტიურინგს, მეორე — ამერიკელ მათემატიკოსს და ლოგიკოსს პოსტს. ტიურინგიც და პოსტიც ერთმანეთის დამოუკიდებლად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია ინფორმაციის უნივერსალური გადამამუშავებლის შექმნა. მათ ცალ-ცალკე მოგვცეს ასეთი სისტემის თავისებური თეორიული აღწერა, რომლებშიც წინასწარ იყო განჭვრეტილი თანამედროვე უნივერსალური გამომთვლელი მანქანების ნიშნები.

მეცნიერებაში ჩამოყალიბდა აზრი: ინფორმაციის ნიშანთვისება ის არის, რომ რა სახისაც უნდა იყოს იგი, მისი ნებისმიერი გადამუშავების პროცესი შეიძლება წარმოებდეს გარკვეული წესების მიხედვით. შემდგომმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ამ წესებიდან შეიძლება შედგეს სხვადასხვა სახის პროგრამა. მაგალითად, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისათვის, ჭადრაკის თამაშისათვის, ამა თუ იმ საწარმოო ობიექტის მართვისათვის და ა. შ.

პირველი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების შექმნისას მეცნიერები ჯერ კიდევ არ სარგებლობდნენ მათემატიკური ლოგიკის საფუძველზე შექმნილი იდეებით. პრაქტიკამ მოითხოვა უნივერსალური გამომთვლელი მანქანების შექმნა. ეს ამოცანა გადაიჭრა. მალე ნათელი გახდა, რომ ინფორმაციის გადამუშავების წესები, რომლებიც საფუძვლად დაედო უნივერსალური გამომთვლელი მანქანების მუშაობას, ერთნაირად გამოიყენება როგორც რიცხობრივი, ასევე ყველა სახის ინფორმაციისათვის, რომ ამ მანქანებით შეიძლება არა მარტო გამოთვლა, არამედ ლექსების „შეთხზვაც".

კიბერნეტიკული ტექნიკის პრაქტიკული განვითარების შესაძლებლობა დამოკიდებულია სათანადო პროგრამის შედგენაზე. ამის მისაღწევად კი აუცილებელია ადამიანური აზროვნების პროცესების შესწავლა. ელექტრონულ-გამომთვლელმა მანქანებმა მოგვცეს ტვინის შესწავლის ახალი შესაძლებლობანი, რომელთა შესახებაც წინათ წარმოდგენა არ ჰქონდათ ბიოლოგებს, ფსიქოლოგებს, ლოგიკოსებს.

მაგალითისათვის ავიღოთ მუსიკის შექმნის პროცესი. ამოცანად დავისახოთ მუსიკოსის ტვინის მოქმედების კანონზომიერების აღმოჩენა ახალი ნაწარმოების შექმნისას. ამ შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობის აღწერის საფუძველზე შევადგინოთ „მუსიკის შექმნის წესები", ჩავიწეროთ ისინი, შევისწავლოთ და გადავიტანოთ ელექტრონული მანქანების პროგრამის ენაზე, რაც მოგვცემს მელოდიის შექმნის შესაძლებლობას. ეს პროცესი პრაქტიკულად განხორციელებულია.

კიბერნეტიკას, როგორც თეორიულ მეცნიერებას, აქვს დიდი პრაქტიკული გამოყენება. არსებობს მრავალი დარგი, სადაც გამოიყენება მისი მეთოდები. არის ეკონომიური, ტექნიკური, ბიოლოგიური კიბერნეტიკა, კიბერნეტიკა, რომელიც სწავლობს ადამიანის ორგანიზმს მთლიანად (და არა მხოლოდ მის ტვინს) საერთო პოზიციებიდან. კიბერნეტიკამ ბევრი მეცნიერება, რომლებიც წინათ ვითარდებოდნენ, როგორც აღწერილობითი მეცნიერებანი, ზუსტ მეცნიერებად გადააქცია. ასე შეიქმნა მათემატიკური ლინგვისტიკა, აღმოცენებული მათემატიკისა და ფილოლოგიის საფუძველზე.

„მომავლის მეცნიერება", — ასე უწოდებენ კიბერნეტიკას, რომელიც თავისი არსებობის სულ რაღაც ოციოდე წელს ითვლის.

მიუხედავად ახალგაზრდობისა, კიბერნეტიკამ განვითარების გარკვეული გზა გაიარა. კიბერნეტიკის საკითხების შესწავლა და გამოყენება აქტუალური სადღეისო პრობლემაა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში დიდი მუშაობა წარმოებს კიბერნეტიკის საკითხების შესასწავლად და გადასაწყვეტად. კიბერნეტიკოსი ქალები: ხანზერიფა გაფრინდაშვილი, ვერა მებლაძე, თენგულა ლებსაძე, ნელი ტყემალაძე, ლამარა კიკნაძე, ნათელა ნამორაძე, ალა კორნეევა, ოლია გალიცკაია, კინა კვინიხიძე, ნელი შენგელაია და სხვები საინტერესო მუშაობას აწარმოებენ. მათ მოხსენებებს ისმენენ კიბერნეტიკის საკავშირო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე.

ნელი შენგელაია სამედიცინო კიბერნეტიკაში მუშაობს. მისი კვლევის საგანია ელექტროკარდიოგრამისა და გულის მდგომარეობის სხვა გრაფიკული მახასიათებლების მანქანური ანალიზი. მან შეიმუშავა მიოკარდიის ინფარქტის ელექტროკარდიოგრაფიული მრუდების შეცნობის მეთოდი გამომთვლელი მანქანების საშუალებით. უახლოეს ხანში ჩატარდება მისი მანქანური რეალიზაცია. გულის მთელ რიგ სხვა დაავადებებისათვის შემუშავდება ერთიანი მეთოდი გულის დაავადებათა მანქანური დიაგნოსტირებისათვის — ელექტროკარდიოგრამებისა და ფიზიოლოგიური მახასიათებლების განხილვით.

ეს მეთოდი საშუალებას მოგვცემს ექიმის ჩაურევლად, მანქანის გამოყენებით ვაწარმოოთ მასობრივი გამოკვლევები. მაშინ გვექნება დაავადების ადრეულ პერიოდში გამომჟღავნების შესაძლებლობა. მანქანა ანალიზს ჩაატარებს უმაღლესი კვალიფიკაციის ექიმის დონეზე, დიდი სისწრაფით.

ნ. შენგელაიას შრომის ხელმძღვანელია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ ჭავჭანიძე, ხოლო სამედიცინო ნაწილში — სამედიცინო ინსტიტუტის პროპედევტიკის კათედრის დოცენტი თეიმურაზ დიდებულიძე.

კინა კვინიხიძემ უნივერსიტეტში სწავლისას დაამუშავა სადიპლომო შრომა „ნუკლეინური მჟავების კოდირების შესახებ". კოდის დადგენა არის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი თანამედროვე ბიოლოგიაში. კოდის ბუნების განსაზღვრა, ე. ი. იმის განსაზღვრა თუ როგორ შეესაბამება ნუკლეოტიდების სტრუქტურული ერთეულების მიმდევრობა ცილების სტრუქტურული ერთეულების მიმდევრობას, იძლევა ცილის სპეციფიკას.

სადიპლომო შრომაში კინა კვინიხიძემ გამოიყენა ვ. ჭავჭანიძის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი შესაძლებელი კოდი.

კიბერნეტიკის ინსტიტუტში, ახალ ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით კინა კვინიხიძემ განაგრძო ამ საკითხზე მუშაობა, გამოიყენა ახალი მათემატიკური მეთოდები კოდის უფრო მკაცრი დადგენისათვის და მიიღო საინტერესო შედეგები.

მიღებული შედეგები ძირითადად დაემთხვა ცნობილ საზღვარგარეთელ მეცნიერთა ექსპერიმენტების შედეგებს.

დღეს ტექნიკაში დიდი გამოყენება აქვს პოლიმერებს. პოლიმერების მთელი რიგი ფიზიკური თვისებები დამოკიდებულია მისი მოლეკულების შინაგან სტრუქტურაზე. მაგალითად, ელასტურობა დამოკიდებულია ამ მოლეკულების დახვეულობის ხარისხზე. პოლიმერების ფიზიკის ამოცანაა დაამყაროს რაოდენობრივი კავშირი მის შინაგან სტრუქტურასა და ფიზიკურ თვისებებს შორის. ეს საშუალებას მოგვცემდა მიგვეღო პოლიმერები წინასწარ განსაზღვრული ფიზიკური თვისებებით.

ამისათვის საჭიროა პოლიმერების სტრუქტურის საშუალო მახასიათებლის შესწავლა. ეს კი დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან.

პოლიმერის ზოგიერთი სტრუქტურის საშუალო მახასიათებლის პოვნაზე ვლადიმერ ჭავჭანიძის ხელმძღვანელობით მუშაობს ნათელა ნამორაძე.

ამ საშუალო მახასიათებლის განსაზღვრა ზოგჯერ ანალიზური მეთოდით არ გადაიჭრება. ამიტომაც მის პოვნას ცდილობენ სტატისტიკურ-ალბათური მოდელირების გზით. ეს შრომატევადი პროცესი გამომთვლელი მანქანით ხორციელდება.

ელექტროენცეფალოგრამა (ეეგ) — თავის ტვინის ელექტრულ პოტენციალთა ჩანაწერი — მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ექიმებს თავის ტვინის დაავადებათა დიაგნოსტირებისათვის. მაგრამ ეეგ-ს ანალიზისა და დამუშავების დღემდე არსებული მეთოდი ნაკლებად ეფექტურია. ვლ. ჭავჭანიძის, ალა კორნეევას და ოლია გალიცკაიას მეთოდით ეეგ-ს მრუდების ერთობლიობის ანალიზით მიღებული ინფორმაცია უეჭველად უფრო დიდი იქნება, ვიდრე ერთი ენცეფალოგრამის ჩვეულებრივი გამოკვლევის შედეგად მიღებული. კლასებად წოდებული ასეთი ერთობლიობების სტატისტიკური დამუშავების შემდეგ ყოველი კლასის აღწერა ხდება ალბათურ გადასვლათა მატრიცებით და მათზე აგებული ორი ალგორითმით წარმოებს ეეგ-ს კლასიფიკაცია. მოცემული მრუდით ავტომატურად განისაზღვრება თუ დაავადებათა რომელ კლასს მიეკუთვნება იგი (ეპილეფსია, ჰიპერტონიის გარკვეული ტიპები და ა. შ.).

...ცოდნით, შრომისმოყვარეობით, ძიების უნარით შეიარაღებული კიბერნეტიკოსები წყვეტენ ეპოქის უდიდეს ამოცანას — სასარგებლო შრომაში ჩაბმულ ადამიანებს უქმნიან ყველა პირობას იმისათვის, რომ გამოიყენონ შესაძლებლობანი, რომლებსაც იძლევა მართვის ახალი მეცნიერება.

ლია კაკაბაძე



# რევოლუციონერის ცხოვრების თანამგზავრი

1905 წელი იყო.

თბილისის ქუჩებში მასობრივი მიტინგები იმართებოდა. პარტია ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა.

...ტრიბუნაზე იდგა მღვდელი და ხალხისგან მოითხოვდა სასტიკად დაესაჯათ რაზმის ხელმძღვანელი, რომელმაც მას იარაღი აართვა.

ტრიბუნაზე აიჭრა 19 წლის ჭაბუკი, გაშლილი მხრებით, არწივისებური თვალებით.

— მე ჩამოვართვი იარაღი მღვდელს, — დაიგრგვინა ჭაბუკმა, — იგი მას არ სჭირდება. მას ხომ თავისი იარაღი მკერდზე ჰკიდია, რომლითაც ჩინებულად ატყუებს ხალხს. იარაღი რევოლუციას სჭირდება!

მხურვალე ოვაციამ დაჰფარა ახალგაზრდის უკანასკნელი სიტყვები.

იმ დღეს მოხიბლა საშა გეგეჭკორმა, მისმა ცეცხლოვანმა თვალებმა და ხმაში ჩამდგარმა ფოლადმა — ვერა, შემდეგში საშას უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი.

...დაჭრილი საშა ვერას მამის სახლში წევს. ახალგაზრდა ქალიშვილი უვლის მას. კვლავ იწყება რევოლუციური ბრძოლა. ახლა საშას გვერდით სამუდამოდ დამდგარა ვერა, მისი ცხოვრების თანაზიარი. იგი ავრცელებს პროკლამაციებს, აბამს კავშირს არალეგალურად მომუშავე ორგანიზაციებს შორის, მონაწილეობს რევოლუციონერთა განთავისუფლებაში. ოჯახისა და ხალხის საქმის ერთგული ვერა საშასთან ერთად ცხოვრობს ბორჯომში, ორენბურგში, დონის-როსტოვში, პოლტავაში, მიროგრადში, ენოტაევსკში.

1917 წლის მაისში ვერა ჩამოდის ქუთაისში და საშასთან ერთად აქტიურად ებმება მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებით 1918 წლის თებერვლიდან საშა გეგეჭკორი სამეგრელოს რაიონებში გაიგზავნა გლეხთა აჯანყების მოსამზადებლად. აჯანყების შტაბი გორდში იმყოფებოდა. ამ დროს ვერა გეგეჭკორი და ქრისტინე ჭოლოკავა ქმნიდნენ რგოლს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა ქუთაისის ბოლშევიკურ ორგანიზაციასა და აჯანყებულებს.

1918 წლის მაისში ამ სახელოვანმა ქალებმა შეასრულეს მეტად სახიფათო დავალება — აჯანყებულთა საჭიროებისათვის გადაიტანეს ფული ქუთაისიდან მარტვილში.

„შიშს ფართო თვალები აქვს, — იგონებს ვერა, — გადასატანი ფული ქრისტინემ ტანზე შემოიკრა. მივდიოდით დილიჟანით. დილიჟანში ყოველი კაცის ამოსვლაზე ქრისტინე ჩურჩულებდა — „შემომხედე, ხომ არ მეტყობა"? და ასე ჩავედით მარტვილში".

1918 წლის ივნისში ვერა ქუთაისიდან გორდში ჩადის. გორდში ჩასვლამდე, სოფელ სუხჩეში, ქრისტინე ჭოლოკავას ძმის სახლში, იგი შეხვდა გორდიდან ჩამოსულ საშას. ვერამ ქმარს გადასცა დირექტივა, რომლითაც საშა თავისი რაზმით ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა წასულიყო. საშას წასვლით გათამამებული მენშევიკური მთავრობა და შავრაზმელი გიორგი კვესელავა ტერორის ქვეშ აყენებს საშას ოჯახს. ვერა იძულებულია გადავიდეს გორის მაზრაში, სოფელ ავლევში. მას თან ახლავს რევოლუციონერი ქალი პატულია ხარებავა. ორი თვის შემდეგ ვერა შვილსა და დედას ქუთაისში ტოვებს და 1918 წლის ნოემბერში საშას ძმასთან, ვანო გეგეჭკორთან ერთად მიემგზავრება კავკავში ქმართან.

საშა იმ დროს კავკავის სამხედრო კომენდანტი იყო და თავისი არმიით იბრძოდა თეთრების წინააღმდეგ არხანკაში. იქვე იბრძოდა ინგუშ პარტიზანთა რაზმი საშას ძმადნაფიცის ალი-გირეი ალიბაგაჩიევის მეთაურობით. ალი-გირეი ბრძოლაში დაიჭრა და მტრის ალყაში მოექცა. ძმადნაფიცის გადსარჩენად საშამ მთელი ათასეული ხელჩართულ ბრძოლაში ჩააბა. თვითონ ზურგზე აიკიდა დაჭრილი ძმადნაფიცი და გადაარჩინა. მაგრამ ამ ბრძოლაში თვითონაც მძიმე ჭრილობა მიიღო ფეხში.

მძიმედ დაჭრილი საშა, მუცლის ტიფით ავადმყოფი მისი ძმა ვანო გეგეჭკორი და სასიკვდილოდ დაჭრილი ძმადნაფიცი ალი-გირეი ერთად იწვნენ საავადმყოფოში.

საჭირო შეიქმნა საშასთვის ფეხის მოკვეთა. თუ საავადმყოფოში დატოვებდნენ, შეიძლებოდა ფეხი შერჩენოდა, დატოვება კი მის სიცოცხლეს ემუქრებოდა, რადგან ქალაქში შემოსული თეთრები არ დაინდობდნენ მას, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა. ქალაქიდან რომ გაეყვანათ და სოფელში შეეფარებინათ, სასწრაფოდ ფეხი უნდა მოეჭრათ. გადაწყდა საშას სიცოცხლისათვის შეეწირათ მისი ფეხი.

ქალაქის ქუჩებში გაფთრებული ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა, საშას კი საავადმყოფოში ფეხს ჭრიდნენ.

დრო არ ითმენდა. საშას რაზმელები იგერიებდნენ თეთრების შემოტევას და ამით უზრუნველყოფდნენ ქალაქის ევაკუაციას. წუთები სწყვეტდა ყველაფერს, საშა სასწრაფოდ უნდა გაეყვანათ ქალაქიდან. ვერამ დიდი გაჭირვებით იშოვა ტრანსპორტი და მოახერხა მისი გაყვანა.

ხალხთა მეგობრობის მაგალითია ოსი ქალის, ექთან ოლია გიორგის ასულ ჯანაევას მოქმედება. მან

დასტოვა ოჯახი, სამსახური და საშას მოსავლელად გაჰყვა ევაკუაციაში.

1919 წლის აპრილში ვერამ გამოჯანსაღებული საშა ექთან ჯანაევას მეთვალყურეობის ქვეშ დასტოვა და თვითონ საქართველოში გამოემგზავრა.

კავკავიდან უკანდახეული მებრძოლები ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა სოფლებში აფარებდნენ თავს. მათ შორის იყვნენ: თამარ რეზაკოვა, დუნია ელერდოვა, პოლინა ბუტირინა და ვერა გეგეჭკორი, მათთან იყვნენ აგრეთვე ფილიპე მახარაძე, ელერდოვი, ამაიაკ ნაზარეტიანი და სხვები.

საქართველოში ისინი გადმოდიოდნენ მიუვალი მთებით, ინგუშ ალპინისტების დახმარებით.

„გზაში ყველანი დაგვაპატიმრა მენშევიკების რაზმმა ვიღაც ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით, რომელიც ძალიან ლანძღავდა ქალებს, — იგონებს ვერა. — ქალებს ტყეში რა უნდათ, — ყვიროდა ის, — თქვენ რომ პატიოსნები იყოთ, ოჯახში უნდა დიასახლისობდეთო. ამაზე გაბრაზებულმა, ვუპასუხე: ტყეში ჩვენს ქმრებთან და ძმებთან ვიყავით, მე დაჭრილ საშას ვუვლიდი, მისი ცოლი ვარ-მეთქი. გახარებულმა ანჯაფარიძემ, საშას ცოლი ხელში ჩავიგდეო, სასწრაფოდ გამოუძახა დარიალში მყოფ მენშევიკური რაზმის მეთაურს—პოლკოვნიკ წერეთელს. წერეთელმა ფილიპე მახარაძე, ელერდოვი და ნაზარეტიანი ჩამოგვაშორა და თბილისში ეტაპით გაგზავნა. ჩვენ, ქალები ყაზბეგში ჩამოგვიყვანეს, დანარჩენები კი კავკავში გადაგზავნეს. ყაზბეგში საშინელი დაცინვის, დამცირებისა და დაკითხვის შემდეგ თბილისში გადაგვაგზავნეს მენშევიკ კედიას განკარგულებაში".

მალე ვერამ თავი დააღწია პატიმრობას. იგი ჩავიდა ქუთაისში და ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. როცა საშა თბილისში დაბრუნდა, ვერამ მოახერხა თბილისში ჩამოსვლა და ქმრის ნახვა.

კედიამ საშას კვალს მიაგნო, დააპატიმრა იგი და მეტეხის ციხეში ჩასვა. ვერა წუთითაც არ წყვეტს ფიქრსა და ზრუნვას საშაზე, ჩამოდის თბილისში, ჩამოაქვს ფული რევოლუციონერებისათვის.

მენშევიკებმა საშას სასამართლო პროცესი მოუწყეს დუშეთის გლეხთა აჯანყების საქმეზე. მასთან ერთად საქმეში ჩაბმული იყო სერგო ქავთარაძე და დუშეთის აჯანყების 15 აქტიური მონაწილე. საშას დავალებით ვერამ ციხეში მიიტანა წითელი ყვავილები და წითელი ლენტები, რაც საშამ ყველა პატიმარს გაუკეთა მკერდზე. სასამართლოსკენ, წინ საშა და სერგო ქავთარაძე მიდიოდნენ, უკან — 15 აქტიური მებრძოლი. ქუჩა ხალხით იყო სავსე. ეს პროცესია საშამ დემონსტრაციად გადააქცია. სასამართლოში საშას მტკიცედ ეჭირა თავი. მოსამართლის კითხვაზე, ხომ არ გჭირდებათ დამცველიო, მან ამაყად უპასუხა, სიმართლეს დაცვა არ ჭირდებაო. მენშევიკები მიხვდნენ, რომ პროცესი მათ წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. რაღაც მოიმიზეზეს და სხდომა გადადეს. ამ პროცესის გაგრძელება მენშევიკებს შემდეგ არ დასცალდათ.

საბჭოთა რუსეთთან 1920 წელს დადებული ხელშეკრულების შედეგად საშა ციხიდან გაათავისუფლეს და წინადადება მისცეს, საქართველო დაეტოვებინა. საშა გეგეჭკორი, ფილიპე მახარაძე და სერგო ქავთარაძე იძულებული გახდნენ ვლადიკავკავში წასულიყვნენ.

ვერა ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა და მუშაობა დაიწყო საბჭოთა აზერბაიჯანის წარმომადგენლობაში საქმეთა მმართველად. აქვე მუშაობდნენ ნინო მახარაძე (ფილიპე მახარაძის მეუღლე), ლოლა წულუკიძე (საშა წულუკიძის მეუღლე), ვერა ჯაფარიძე (ალიოშა ჯაფარიძის მეუღლე), კოსტა ჩხენკელი, გალაქტიონ ვაშაძე, კარპე მოდებაძე და სხვ.

1920 წლის ნოემბერში მენშევიკურმა მთავრობამ ფეხქვეშ გათელა წარმომადგენლობის ხელშეუხებლობის ვალდებულებანი, დააპატიმრა ნინო მახარაძე და ვერა გეგეჭკორი.

თბილისიდან ქუთაისის ციხეში — ვანო სტურუას, კოსტა ჩხენკელის, ნინო ალაჯალოვას, ვერა გეგეჭკორისა და სხვა პატიმრების გადაყვანა მენშევიკებმა გვარდიელების თანხლებით მოაწყვეს. ქუჩებში ჩამწკრივებული იყვნენ სახალხო მილიციელები, მენშევიკების მიერ მოსყიდული პროვოკატორები გაიძახოდნენ: „ჩაქოლეთ მოღალატეები, გარყვნილები, სამშობლოს გამყიდველები!" მაგრამ პროვოკატორებს ხალხმა ხელჩართული ბრძოლა გაუმართა.

1920 წლის ნოემბრიდან — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ვერა გეგეჭკორი ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა.

ვერა გეგეჭკორი ბოლომდე საბჭოთა ხელისუფლების იდეების გამარჯვებისათვის მებრძოლი იყო.

1965 წელს, სიკვდილის წინ მან თავის შვილიშვილებს უთხრა: „ცას შევაბერდი, ადამის ჟამის შევიქენ და ერთი იდეის მეტი, რაც საშასთან ერთად ავირჩიე, არა გამაჩნია რაო".

**რომანოზ ძაძამია**

# ამაგდარი



ალალი, კეთილი თვალები აქვს, ნაჯაფარი ხელები. ერთიც და მეორეც მისი ცხოვრების სიმბოლოა: ადამიანებს სიკეთით სავსე გულით ემსახურება, შრომა უყვარს და მასში ხედავს სიცოცხლის მიზანს. 47 წელი დიდი დროა. და თუ ამ წლების მანძილზე ხალხის სიყვარული დაიმსახურე, ეს არანაკლები ჯილდოა, ვიდრე ბრძანებით გამოცხადებული მადლობები. მადლობა კი ბევრჯერ მიუღია მარიამ დავითის ასულ გიუნაშვილ-ბახტაძეს. ამ 47 წლის მანძილზე იგი მუშაობდა ახმეტაში, თელავში, ლაგოდეხში, ყვარელში. იყო პროვიზორის თანაშემწე, რეცეპტორი, ასისტენტი, აფთიაქის გამგე. აფენელები, ენისელლები, ახმეტელები, ნაფარეულელები, ახალგავაზელები, მთისძირელები თუ ახალსოფლელები პატივისცემით იხსენიებენ მუდამ ამ ქალს, ვინც მათი ჯანმრთელობისათვის ზრუნავდა, წამლად ედებოდა მათ სატკივარს. განსაკუთრებით ყვარლის რაიონის ახალსოფლელები არიან მისი მადლიერნი. 1987 წლიდან მარიამ გიუნაშვილი ამ სოფლის მშრომელებს ემსახურებოდა, ერთხანს აფთიაქის გამგის თანამდებობაზე იყო, შემდეგ კი ასისტენტად. ესაა ყველაზე კეთილშობილი სპეციალობა — დარაჯად უდგე ხალხის ჯანმრთელობას, სწრაფად მიაწოდო ავადმყოფს გამოწერილი მედიკამენტი.

სიძნელეები ხშირად ხვდებოდა მარიამს, ზოგჯერ მარტოს უხდებოდა მუშაობა, მასზე იყო დამოკიდებული აფთიაქის მომარაგებაც, მედსაქონლის შენახვა-განლაგებაც. აფთიაქის ყველა საწარმო წიგნების წარმოება, აფთიაქის ბინის შეკეთება და... ყველაზე მთავარი: წამლის მომზადება და მოსახლეობის დაკმაყოფილება. „საჭიროა? — მაშინ გაუჩენელი უნდა გააჩინო", — ასეთი იყო დევიზი ამ ქალისა.

საჭირო წამლისათვის ბევრჯერ შორი მანძილი გაუვლია, ბევრჯერ ღამეში ორჯერ წამომდგარა, აფთიაქი გაუღია და წამალი საჩქაროდ დაუმზადებია. საერთოდ, ყოველი კეთილშობილი აფთიაქარის ცხოვრება სავსეა ასეთი ფაქტებით.

სოფელს ახსოვს არა მარტო ის თუ როგორ იმეტებდა საკუთარ მედიკამენტებს ავადმყოფისათვის მარიამი, არამედ ისიც, თუ როგორ გადიოდა ომის დროს მინდვრად, რათა საკუთარ კოლმეურნეობას შეშველებოდა, დაეთესა და აეღო მოსავალი მინდვრებიდან, ზვრებიდან, და ასეთ ადამიანების ამაგს არ ივიწყებენ.

ახალსოფლელები სიყვარულით ისტუმრებენ ამაგდარ ადამიანს პენსიაზე.

10.053.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არიადნა შენგელაია

არიადნა შენგელაიას არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა სილამაზის არც ერთ კონკურსში. მაგრამ ხალხმა ეკრანზე სულ რაღაც ათიოდე როლის შესრულებით „კინოვარსკვლავის" სახელი დაუმკვიდრა.

არიადნამ 1960 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი. მაგრამ, დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, ჯერ კიდევ შემოქმედებითი გზის დასაწყისში, არაჩვეულებრივი სიმკვეთრით გამოვლინდა იგი, როგორც სულიერისა და გარეგნულის ჰარმონიული სილამაზე, როცა მან ეკრანზე წარმოადგინა პუშკინის ტატიანა ლარინას სახე. („ღმერთო ჩემო, ტატიანას როლში!" — გაოცებით წამოიძახა მისით მოხიბლულმა რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა ოლგა ჟიზნევამ).

დრამატული მსახიობისათვის საოპერო სპექტაკლ-ფილმში „ევგენი ონეგინში" მონაწილეობა რამდენადმე ძნელი იყო, რადგან იგი მხოლოდ როლს ასრულებდა, პარტიას კი სხვა მღეროდა. მიუხედავად ამისა, დამდგმელმა რეჟისორმა ა. რომმა და მსახიობებმა შესძლეს თავი დაეღწიათ ოპერული პოზებისა და ჟესტებისაგან და შექმნეს პირობითობისაგან თავისუფალი კინემატოგრაფიული ნაწარმოები.

არიადნასათვის ტატიანას როლი მთელი მისი სულიერი სამყაროს გამომავლინებლად იქცა. და არა მარტო სულიერისა, იგი, როგორც პიროვნება, ბევრ რამეში შეერწყა ტატიანას სახეს. ისევე, როგორც პუშკინის ეს იდეალური ქმნილება, მთლიან ნატურად წარმოგვიდგა მსახიობი, თავისი გულწრფელობით, სისპეტაკით, ცეცხლოვანი ვნებითა და რომანტიკული მომხიბვლელობით, ყოველგვარი ზედმეტობისა და მიტმასნებების გარეშე, მთელი თავისი ცხოვრების იმ მთლიანობით, „რომელიც ხელოვნების სამყაროში მხატვრული ნაწარმოების უმაღლეს ღირსებას შეადგენს" (ბელინსკი). მან კი არ „გაითამაშა" ტატიანა, არამედ ცოცხლად გვიჩვენა მისი სულიერი და გარეგნული მშვენიერება.

უმწიკვლო, ბავშვური ოცნებებით სავსე, მიამიტი სოფლელი გოგონა ჩვენს თვალწინ იზრდება მაღალი წრის მანდილოსნად, ცხოვრებაში გამობრძმედილ ქალად, რომლისთვისაც შეიცვალა მდგომარეობა, მაგრამ არ შეცვლილა ხასიათის სიმტკიცე და ნებისყოფა; არ დამცხრალა წყურვილი დიდი სიყვარულისა, რომელიც ახლა მსხვერპლად შეწირვია საზოგადოებრივი ეთიკის კანონებს. ჩვენ გვახსოვს ტატიანასი და ონეგინის შეხვედრა პეტერბურგში, მეჯლისზე და, ამავე დროს, უნებურად გვაგონდება მათი ადრინდელი შეხვედრა ბაღში. მაშინდელი ტატიანა, მორცხვი და უენო გოგონა, მორჩილად ისმენდა ონეგინის ქადაგებას და ჩვენც მასთან ერთად ვთრთოდით გაწბილებული სიყვარულის გამო. ახლა ჯერი მასზე მიდგა და იგი თვითონ უკითხავს ონეგინს გაკვეთილს; მაგრამ, მთელი მისი მოკრძალებული გამომეტყველება გვამცნობს, რომ ეს არ არის ბრმა შურისძიების გაკვეთილი. ეს თვით ცხოვრების გაკვეთილია, ამას იგი ცხოვრების კარნახით მეტყველებს. იგი ადრინდებულად გულწრფელია თავის აღიარებაში. მისი საბოლოო პასუხი ონეგინისადმი — „ისევ მიყვარხარ (რად ვიცბიერო?), მაგრამ დღეს უკვე მე ვეკუთვნი სხვას და სიკვდილამდე ვუერთგულებ მას" — მისი მთლიანი ბუნების დამაგვირგვინებელ სიტყვებად ჟღერს.

ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით ამ როლზე, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ყველაზე მკვეთრად დიდი შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე ამ სახემ გამოავლინა მსახიობი ქალის სულიერი სამყაროს მთელი სილამაზე. შენგელაიას ტატიანა სრულყოფით შეუთავსდა პუშკინის პოეზიასაც და ჩაიკოვსკის მუსიკასაც. ბევრს დიდხანს მიაჩნდა, რომ არიადნა შენგელაიას ამპლუა მხოლოდ მე-19 საუკუნის გმირთა როლებისათვის ივარგებდა. ამგვარი შეხედულებისათვის მათ თითქოს მართლაც გააჩნდათ საფუძველი (შენგელაიამ მეორე მნიშვნელოვანი მთავარი როლიც ხომ ფილმ „ეჟენი გრანდეში" შეასრულა!). მაგრამ ახალგაზრდა მსახიობის უდიდესი ოცნება იყო თანამედროვე გმირის სახეც განეხორციელებინა ეკრანზე. ამისათვის კი შენგელაიას თავიდანვე გააჩნდა ყველა მონაცემი. საბოლოოდ, ოცნება ახდა და მან ქართულ ფილმში „თეთრი ქარავანი" (რომლის ერთ-ერთი რეჟისორი მისი მეუღლე ელდარ შენგელაიაა) თანამედროვე ქალიშვილის — მარიას ლირიკული სახე შექმნა. ფილმი ეხება თანამედროვე მწყემსების ცხოვრებას, გვიხატავს მათი ყოფის რთულ პირობებსა და მნიშვნელოვან მხარეებს.

შენგელაიამ შეძლო წარმოედგინა თანამედროვე, პატიოსანი და გამრჯე, საღად მოაზროვნე ქალიშვილის სახე, რომელმაც შთამაგონებლად იმოქმედა მაყურებელზე. მარიას როლის შემდეგ მსახიობმა თითქოს უფრო მეტად ცხადყო, რომ თანამედროვე აზროვნება, თანამედროვე შეხედულებები და სინამდვილისადმი დამოკიდებულება შეიძლება გარდასულ დროთა ამსახველ კლასიკურ ნაწარმოებებშიც იქნას გამოვლენილი. უთუოდ ამგვარმა გაგებამ განაპირობა მისი დიდი წარმატება ა. რომის ფილმში „ძოწის სამაჯური",

სადაც მან მაღალი წრის მანდილოსნის, მშვენიერი ვერა ნიკოლაევნა შეინას როლი შეასრულა. ფილმი კუპრინის მოთხრობის მიხედვითაა შექმნილი და იმ დიდი, ამაღლებული სიყვარულის შესახებ მოგვითხრობს, ყოველ დროში რომ თანამედროვეა თავისი სიდიადით. შენგელაიას ვერა ნიკოლაევნა კეთილშობილი, პოეტური სულისა და მორალური სიწმინდის წყაროს წარმოადგენს. იგი უთუოდ იმსახურებს ასეთივე თვისებების მქონე ადამიანის — ჟელტკოვის (მსახიობი იგორ ოზეროვი) დიდ სიყვარულს. და თუ მათი ურთიერთობა უკანასკნელის ტრაგიკული დაღუპვით მთავრდება, ამაში მხოლოდ სოციალურ უსამართლობას მიუძღვის ბრალი. მოხდენილად შენიშნა ერთმა კინოკრიტიკოსმა, რომ შენგელაიას ვერა ჩვენთვის ისეთივე დიდებული, ახლობელი და ნაცნობია, როგორიც... „უცნობი ქალი“ კრამსკოისა. მართლაც მსახიობი საოცრად გავს კრამსკოის ყალმით შექმნილ ამ მშვენიერ „უცნობ ქალს“.

სულ ახლახან მოიხიბლნენ თბილისელი მაყურებლები გრიბოედოვის თეატრში ა. შენგელაიას მიერ შესრულებული ანა ფრანკის როლით („ანა ფრანკის დღიური“). მან გააცოცხლა 13 წლის გოგონას მზით გამთბარი, გმირული სული, სული, რომელიც ფაშისტური ოკუპაციის მძიმე პირობებში სიყვარულსა და სიკეთეზე ოცნებობდა. თავის ოჯახთან ერთად თავის გადასარჩენად სხვენში ჩაკეტილი, დამალული გოგონას გული სიცოცხლის დიდი სიყვარულით ფეთქავს და, მაყურებელმაც, მისი ტრაგიკული დასასრულის მიუხედავად, არ ირწმუნა ანა ფრანკის სიკვდილი; რადგან ანას სჯეროდა სიკეთისა, სჯეროდა რომ „ადამიანები კარგები არიან“, რომ სიკვდილის ძლევაც შეუძლიათ.

არიადნა შენგელაია არ არის ნიკოლოზ შენგელაიას და ნატო ვაჩნაძის ქალიშვილი, როგორც ეს ბევრს ჰგონია, იგი მეუღლეა მათი ვაჟის — კინორეჟისორ ელდარ შენგელაიასი და, ამავე დროს, ღირსეული წევრია ამ ნიჭიერ ხელოვანთა ოჯახისა.

ისევ კიაფობს ვარსკვლავი შენგელაიების გვარის შემოქმედებითი ბრწყინვალებისა.

ᲒᲘᲕᲘ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ



ვერა ნიკოლაევნა — „ძოწის სამაჯური“.



მარია — „თეთრი ქარავანი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედის მოგონება*



ქასინე მენაბდე

ჩემი შვილის უკანასკნელი წერილი 1944 წლის 6 ივლისს მომივიდა. მერე წერილები შეწყდა. დავეძებდი ფოსტალიონს, ის კი, თურმე, მემალებოდა. თურმე, მოუტანია გულშემზარავი ცნობა: „კლიმენტი ეპიფანეს ძე მენაბდე მინსკის მისადგომებთან გმირულად დაეცა ხელჩართულ ბრძოლაშიო". მე რომ ფოსტალიონს დავეძებდი, წერილის დაგვიანებას ვდარდობდი, ჩემი ცოდვით მეზობლები ცრემლად იღვრებოდნენ. ისინი დასტიროდნენ ჩემს გულკეთილ ბიჭს, რომელიც ომში დავაჭკაცდა და თავის სამშობლოდან შორს, ბელორუსიაში დაეცა...

... გათენდა საზარელი დღე —ორმოცდაოთხი წლის 15 აგვისტო. დილით ფოსტალიონმა, მენაბდეო, დაიძახა. ჩემი შურა ეზოში გავარდა და ფოსტალიონთან მიირბინა. მეზობლები გარეთ გამოცვივდნენ. მე ფულს მიგარბენინებ, რომ სამახარობლო ვაჩუქო...

ეს წერილი კლიმენტის ამხანაგების ყოფილიყო. გვატყობინებდნენ, დაგვეღუპა ჩვენთვის მუდამ დაუვიწყარი კლიმენტი, ჩვენი მედგარი თანამებრძოლი და სიცოცხლით სავსე მეგობარი. ის გმირული სიკვდილით დაეცა და მის საფლავთან ფიცს ვდებთ მისი ამხანაგები, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ, რომ ამ მიწაზე მტერმა არ გაიჭაჭანოსო...

წერილს მისი სომეხი ამხანაგი აწერდა ხელს და გვთხოვდა, პასუხი მიგვეწერა. როცა მივწერეთ, მისგან აღარაფერი მიგვიღია. ალბათ, იმასაც ჩვენი შვილის ბედი ეწია...

... თუმცა, ცნობაც მიღებული მქონდა და ამხანაგებიც მწერდნენ გულდამწვარ წერილებს, მაინც არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ მართლა ველარ ვნახავდი ჩემს ბიჭს, იქნებ, მოტყუვდნენ, იქნებ ვინმე სხვა მიამსგავსეს ჩემს შვილს? ასეთი ყოფილა დედის გული: მისი უკანასკნელი ამოძახილი რომ არ გამიგონია — დედა, მიშველე, ვკვდებიო, მის გაციებულ სახეს რომ არ ჩავკონებივარ უკანასკნელად და მიწას არ მიმიბარებია, რაღაც ჯიუტი იმედი სადღაც მაინც ბჟუტავდა, ცოცხლობდა. ვფიქრობდი, ბევრი ცნობა მოვიდა, ბევრი არ გამართლდა და ომგადახდილი ჯარისკაცი ცოცხალი ჩამობრუნდა, იქნებ, რაღაც სასწაულით ჩემიც დაბრუნდეს, მეც გავერიო იმ ბედნიერ ხალხში-მეთქი.

დადგა ბედნიერი 1945 წელი. ჩვენი სისხლით დამძიმებული დროშა ბერლინის თავზე აფრიალდა. ერთ დილას გამოცხადდა, ამა და ამ საათზე ეშელონი ჩამოვა თბილისში და ჩამოიყვანს ომგადახდილ გმირებსო. რა ვუყოთ თუ ყველას არ ერგო გმირის ორდენი! ვინც იქ იბრძოდა ერთგულად და თავდადებულად და სამშობლოს დაუბრუნდა ვალმოხდილი, ღირსია ზეიმით შეხვედრისა.

იმ დღეს სახლიდან გავიპარე, რადგან მიშლიდნენ, ნუ წახვალ, ვერ აიტან იმათ ცქერასო... მატარებელი ჩამოდგა, გადმოდის ვაგონებიდან ბედნიერი ხალხი. ეხვევიან ერთმანეთს, ტირიან სიხარულის ცრემლებით, ზოგი ჩუმად, ზოგი —თავშეუკავებლად, ხმამაღლა. ზოგი კი როგორც მე, შავებში დაბურული, თვალცრემლიანი აივლის და ჩამოივლის ჩემსავით, ზოგიც მოულოდნელად გადაეყრება, რომ არ ელოდა, იმას, და ელდანაცემივით ყვირის.

ვფიქრობ, ნუთუ ჩემი არავინ უნდა გამოჩნდეს? გაფაციცებით ვიყურები. ვეძებ ჩემს ძმას — შამშეს, რომელიც სევასტოპოლში იბრძოდა, ვეძებ ძმისშვილს, მაზლიშვილს, მულისშვილს, ჩემს შვილთან ერთად რომ იზრდებოდნენ, ყველა საყვარელია, მაგრამ შვილი, — მრცხვენია ამას რომ ვამბობ, — შვილი სულ სხვანაირად ყოფილა დედის გულზე მიჯაჭვული.

ბევრი ვიარე უშედეგოდ, ძალიან დავიღალე, მწარედ ვტიროდი. ხალხი მანუგეშებდა, ასეთი მატარებელი ბევრი ჩამოვა კიდევ. იქნებ, შენც გაიხარო, დაელოდე, თავს ნუ მოიკლავო. ღონემიხდილი მივედი სახლში. არც ერთი, არც ერთი არ დაბრუნდა...

...მხოლოდ ორი წლის წინ, სულ შემთხვევით წავაწყდი ერთ წიგნში ბარათს, რომელმაც ყოველგვარი იმედი გადამიწყვიტა. ეს ჩემი სიძის —აპოლონის წერილი იყო, ბრესტიდან გამოგზავნილი ორმოცდაოთხი წლის ბოლოს. კლიმენტისთან მიმოწერა მასაც ჰქონდა. სიძესა და ცოლისძმას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი — კლიმენტი ხომ მის ხელში იყო გაზრდილი! ნაწილიდან მისთვისაც უცნობებიათ ჩვენი ბიჭის დაღუპვა და მას, როგორც იქნა, მოეხერხებინა ბრესტიდან ბელორუსიაში ჩასვლა, რომ შავთვალას საფლავი მაინც მოენახა. ამ წერილში სწორედ იმას იტყობინებოდა, როგორი ვაივაგლახით იპოვნა საფლავი.

ეს წერილი ვნახე ამ ორი წლის წინ და ამის შემდეგ დღე და ღამე ერთი საფიქრალი მქონდა—შვილის საფლავი მენახა. გული მელეოდა იმის გახსნებაზე, რომ ასე გვიან, ოცი წლის შემდეგ, შეიძლება საფლავი სულაც დაკარგულიყო და ველარც მიმეგნო...

...და აი, რამდენიმე თვის წინ ჩემმა სიძემ ბელორუსიაში წამიყვანა. ანაპოლის მეურნეობა მინსკიდან ოცდახუთი კილომეტრითაა დაშორებული. ავტობუსიდან რომ გადმოვედით, მუხლები მომეკვეთა —აქ იბრძოდა ჩემი ბიჭი. აპოლონმა მკლავში მაგრად მომკიდა ხელი და გამაფრთხილა:

— „ხომ გახსოვს, რა პირობით წამოგიყვანე. გული გაიმაგრე."

იქით წამიყვანა, სადაც ძმათა სასაფლაო ეგულებოდა. მაგრამ იმ ადგილას იასამნების დიდი ხეივანი დაგვიხვდა. აქ ერთხანს დაბნეულები ვიდექით. მერე ნელ-ნელა ჩვენს ირგვლივ ხალხმა მოიყარა თავი. დაინტერესდნენ რისთვის ვიყავით ჩასულები. ჩემმა სიძემ იკითხა: „თუ გახსოვთ ვინმეს, აქ, ძმათა სასაფლაოზე ორის საფლავი იყო განმარტოებით —ქართველი და რუსი იყვნენ ერთად დამარხულიო?"

—როგორ არ მახსოვს!—იყვირა ერთმა ხანშიშესულმა კაცმა — ერთი ოქროსკბილიანი შავგვრემანი ბიჭი იყო. აი, აქ იყო მათი საფლავი. მე-

* დასასრული. დასაწყისი იხ. № 4-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე, ორმოცდათექვსმეტ წელში ეს სასაფლაო ახალ ადგილას გადაიტანეს, მორთეს და დაამშვენეს. აქ კი ეს ბაღი გავაშენეთ...

განა ძნელია იმის მიხვედრა, რა ცეცხლი ტრიალებდა დედის გულში, როცა იმ მიწაზე იდგა, რომელსაც თორმეტი წლის განმავლობაში ჩაკრული ჰყავდა მისი ერთადერთი ბიჭი, ოთხი წლის ომით დაღლილი, ოცდასამი წლის ვაჟკაცი, ბავშვი რომ წავიდა სახლიდან და ბრძოლებში დავაჟკაცდა?...

პირქვე დავემხვე, ვტიროდი და ვკოცნიდი მიწას, ვწყევლიდი და შეჩვენებას ვუთვლიდი იმათ, ვინც ათიათასობით ჩემისთანა დედას სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები წაართვა და მერე მათი საფლავები სადღაც შორს აძებნინა...

ღამდებოდა, ხალხი კი არ იშლებოდა. მე ვთხოვე, იქ წამიყვანეთ, სადაც ჩემი შვილი მარხია-მეთქი და წამიყვანეს. ყველანი თან წამომყვნენ. მივედით ძმათა სასაფლაოზე. შორიდანვე მივხვდი გუმანით, რომ ეს ყვავილებით მორთული, ლამაზად დამშვენებული ოქროსვარსკვლავიანი საფლავი იყო ჩემი შავთვალას სამუდამო ადგილსამყოფელი. ძველ სასაფლაოზე მუხლები მომეკვეთა, ახლა უფრო გავმაგრდი. თვითონაც არ ვიცი, რამ გამაკაჟა.

ჩემი შვილი თავის ორმოცდაჩვიდმეტ თანამებრძოლთან ერთად არის დაკრძალული. ძეგლზე ზოგის სახელი და გვარი იყო ამოკვეთილი, ზოგის მარტო სახელი, ზოგის ვინაობა კი სულაც ვერ დაედგინათ.

მე რომ ვტიროდი, მარტო ჩემს შვილს აღარ ვტიროდი. თავგანწირული რომ მოვთქვამდი; მარტო ჩემს შავთვალაზე არ მეწვებოდა გული. მე იმ მშობლებსაც ვიცოდებდი, რომლებიც ვერასოდეს გაიგებდნენ, სად მარხია მათი შვილები...

ჩამობნელდა. დაღლა არ მიგვრძვნია, მაგრამ აპოლონმა მიჩურჩულა, ხალხი დაიღალა, უშენოდ არ მიდიან, ცოდვანი არიანო.

ღამის გასათევად იმ სახლში წამიყვანეს, სადაც ჩემი შვილი იყო წინათ დაბინავებული. ოჯახის უფროსი მომკვდარიყო, ქალიშვილი კი, რომელთანაც შავთვალა მეგობრობდა, მინსკში ყოფილა გათხოვილი. მე იმ ქალის ნახვა ძალიან მინდოდა, რადგან აპოლონის წერილში მქონდა წაკითხული, იმ გოგონამ იცის მისი უკანასკნელი წუთებიცო. მეზობლები დამპირდნენ, შევატყობინებთ მინსკში და სასწრაფოდ ჩამოვაო.

მართლაც, მეორე დღეს ჩამოვიდა ის ქალი თავისი ქმარშვილით. გადამეხვია, ბევრი მკოცნა და იტირა. მითხრა: „დიდხანს გელოდით, რომ აღარ ჩამოხვედით, ვიფიქრეთ, აღარ იყავით ცოცხალი. კლიმენტი ამბობდა ხოლმე, მე რომ ცუდი რამ შემემთხვეს, ვიცი, დედა ან ჩემს ჯავრს გადაჰყვება, ან თავს მოიკლავსო. აპოლონ მიხაილოვიჩი კი ფრონტზე დაღუპული გვეგონა".

მთელი ღამე ჩემთან ერთად არც ლოლიას დაუძინია. დაწვრილებით მიამბობდა ჩემი შვილის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე, ჩემთან ერთად ტიროდა და ოხრავდა.

— მაშინ ჩვიდმეტი წლის ვიყავი, — მიყვებოდა ლოლია. —ჩვენი ჯარის ნაწილებმა მინსკი გაანთავისუფლეს და მებრძოლები რამდენიმე დღით ახლო-მახლო რაიონებში დაანაწილეს დასასვენებლად. კლიმენტის და მის ერთ ამხანაგს ჩვენი სახლი ერგოთ ბინის სათევად. სულ ხუთ დღეს იყვნენ ჩვენთან, მაგრამ ძალიან შევეჩვიეთ ერთმანეთს. მარტო ჩვენს ოჯახს კი არა, მეზობლებსაც შეუყვარდათ გულღია, მხიარული ბიჭი. წელიწადნახევრის ოკუპაციის შემდეგ ისე გვიხაროდა ყველაფერი, ისე მონატრებული ვიყავით თავშეყრას, რომ მეზობლებს ერთმანეთი აღარ გვეთმობოდა. ყველაზე ხალხმრავალი იმ დღეებში ჩვენი ბინა იყო. კლიმენტი იყო ყველაფრის მოთავე. ხუმრობდა, ენაკვიმატობდა, ჩვენც გვაცინებდა და თვითონაც გულიანად ხარხარებდა...

მეხუთე დღეს მან და მისმა რუსმა მეგობარმა საბრძოლო დავალება მიიღეს — გერმანელების რომელიღაც მოთარეშე ჯგუფს ჩვენს ნაწილებს შორის კავშირი დაერღვია და ეს კავშირი უნდა აღედგინათ ამ ორ მებრძოლს. იმ საღამოსაც ბევრი იმასხარავა კლიმენტიმ. მერე უცბათ დასევდიანდა და წერილების წერა დაიწყო. მითხრა, ვინ იცის, ხვალ რა მომელის. წერილებს მივწერ დედას და დას, თარიღებს სხვადასხვას დავაწერ, უფრო დიდხანს მიგულონ ცოცხალიო. მერე ისევ გამხიარულდა. დასაწოლად რომ შევედით ჩვენ-ჩვენ ოთახებში, კედელს მიღმა მიყვიროდა: —ხვალიდან მშვიდად იძინე, ლოლია, გერმანელების სახსენებელს გავწყვეტავთ ამ არემარეზეო.

დილით ბიჭები ნაწილში გამოცხადდნენ. იქიდან რომ დაბრუნდნენ, გაემზადნენ და დავალების შესასრულებლად წავიდნენ. მთელი უბნის გოგოებმა გავაცილეთ. განშორებისას ერთიც დაგვიძახა შორიდან: „დარდი ნუ გაქვთ, გოგოებო, არც ერთ ფაშისტს არ გავუშვებთ ცოცხალსო", ხელი გადახვია თავის ამხანაგს და ტყის ბილიკს გაუყვნენ.

...რამდენიმე საათის შემდეგ ბრეზენტში გახვეულები ჩამოასვენეს ორივე. რამდენი უბედურება გამომივლია, მაგრამ ეს ელდა არასოდეს დამავიწყდება. კაცებთან ერთად მეც მივიღე მონაწილეობა მის დაკრძალვაში. მე მოვწმინდე სისხლი მის ლამაზ სახეს, მე მოვბანე ხელები და დავუკრიფე გულზე. სახეზე ჩემი ცხვირსახოცი დავაფარე. მერე ორივე ერთად ჩავაწვინეთ საძმო საფლავში ისე ხელგადახვეულები, როგორც დილით წავიდნენ.

—დამიჯერეთ, —მითხრა ლოლიამ, —მას არც ცრემლი დაკლებია, არც ყვავილები. მისი ნაწილის მებრძოლებმა, ერთად ცეცხლგამოვლილებმა, ფიცი დადეს დაღუპულთა საფლავზე, რომ სასტიკად იძიებდნენ შურს და ეს პირობა შეასრულეს კიდეც. რამდენიმე საათში შეკრეს გზები, ამოხოცეს იმ არემარეზე ყველა ოკუპანტი.

მართლაც, იმ ღამეს ჩვენს სოფელში ყველას შეეძლო მშვიდობიანად დაეძინა, მაგრამ რა ფასად!..

... მეორე დილით ძმათა სასაფლაოზე დიდი მიტინგი გაიმართა. არ დარჩენილა სოფელში მოხუცი და ბავშვიც კი, რომ მიტინგზე არ მოსულიყო. ხალხის ასეთმა თავშეყრამ გამაოცა და გულზე მომიფონა. ბევრი კარგი სიტყვა ითქვა იმ დღეს ჩემთვის. გულისტკივილით ლაპარაკობდნენ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, მასწავლებლები, მუშები, პიონერხელმძღვანელები, მოსწავლეები.

„დღეს ჩვენს შორის იმყოფება ბელორუსიის განთავისუფლებისათვის დაღუპული ქართველი მებრძოლის მოხუცი დედა, —ამბობდნენ ისინი,— ჩვენ მას პირობას ვაძლევთ, სათუთად შევინახოთ მისი შვილის სახელი და თაობიდან თაობას გადავცეთ იგი"...

მე არ ვიცოდი, რით გადამეხადა მადლობა, რა სიტყვები მომეძებნა იმის გამოსახატავად, რაც ჩემს გულში ტრიალებდა. მაინც გავბედე და ჩემი უხეირო რუსულით დავიწყე საპასუხო სიტყვა.

მე მათ ვუამბე, როგორ წავიდა ჩემი ცხრამეტი წლის ბიჭი ფინეთის ომში, როგორ ვინახული ნაომარი სტარაია რუსაში; როგორ დამპირდა, უვნებელი დაგიბრუნდებიო და რამდენი ველოდე. მან კი რუსეთი შემოიარა და ბელორუსიაში ნახა სამარე. „აი, ახლა მე მოვედი ჩემი შვილის საფლავზე და ამის მეტად მოსვლა იქნებ აღარც მიწერია, სამოცდათოთხმეტი წლისა ვარ... მაგრამ დღეიდან თავი მაინც ბედნიერად მიმაჩნია, რადგან ვიცი, რომ ჩემს შვილს აქაც ჰყავს გულდამწვარი ჭირისუფლები, და თქვენ უწევთ მას დედის, დისა და მამის მაგივრობას..."

მე რომ ამას ვყვებოდი, შეკრებილი ხალხი ცრემლად იღვრებოდა და ეს აუწერელ შვებას მანიჭებდა. ჩემი ბიჭის საფლავზე ფიცს დებდნენ პიონერები, პირდებოდნენ, რომ დავიწყებას არ მისცემდნენ მათი სამშობლოს განთავისუფლებისათვის დაღუპული მებრძოლების სახელებს.

...მეორე დღეს ჩვენ საქართველოსკენ წამოვედით. მაგრამ განა იმას თქმა უნდა, რომ ჩემი გული იქ დავტოვე: იმ მიწაზე, რომელმაც ჩემი შვილი მიიღო, იმ ხალხთან, ვის ხსოვნას ჩემი შვილის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები შემოუნახავს. ჩემმა მოგზაურობამ, მართალია, რაღაც კმაყოფილება მაგრძნობინა, მაგრამ ახალი მძიმე ტვირთი დააწვა ჩემს გულს. თვალიდან არ მშორდება ბაღადქცეული ძველი სასაფლაო და ის საძმო საფლავი. მინდა იქ ვიყო, და მის საფლავს ვუთხრა ის, რაც უთქმელი დამრჩა და ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ინახება ჩემს გულში.

ჩემისთანა დედა საქართველოში, ვაი რომ, ძალიან ბევრია. ბევრი, ალბათ, წაიკითხავს და იტყვის: ჩემი სათქმელი უთქვამს ამ ქალსო. რამ ამაღებინა ხელში კალამი და დამაწერინა ეს მოგონება, ამას ყველა მიხვდება, ვისაც ჩემსავით უზიდავი დარდი ადევს გულზე და იცის, რომ სამარის კარამდე უნდა ატაროს.

და მთავარი რამაც ამაღებინა ხელში კალამი არის, რომ მეთქვა ყველას გასაგონად: „დედებო, დავიცვათ ჩვენს მიერ გაჩენილი სიცოცხლე, რომ აღარ განმეორდეს ომის საშინელება, რომ აღარ გაითხაროს საძმო საფლავები!!!"

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## კოსმეტოლოგის რჩევა

# როცა სადმე მიდიხართ

იქნებ, ხვალ თქვენ თეატრში ან წვეულებაზე აპირებთ წასვლას და ძალიან, ძალიან გინდათ იყოთ ლამაზი. ეს კი არც ისე ადვილია, თუ თვალებთან ნაოჭები გამჩნევიათ, სახეზე კი ზრუნვისა და დაღლილობის კვალი...

მაგრამ გული არ გაიტეხოთ: თქვენს განკარგულებაში მთელი დღე-ღამეა, საუცხოო გარდაქმნათა მთელი დღე-ღამე! თქვენ დახმარების ხელს გამოგიწვდით ბევრი კეთილი, მართლაც რომ ჯადოქარი თანაშემწე, და ამათგან მთავარი — კარგი, ჯანსაღი ძილია. ის მოგაშორებთ დაღლილობას, გაგიქრობთ ქუთუთოების სიწითლეს, გაგისწორებთ ნაოჭებს.

თუ მსახურობთ, სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ მიიღეთ შხაპი, დაიზილეთ ტანი გაწურული სველი ტილოთი, დაიბანეთ პირი და მაშინვე თავს ახალგაზრდულად და ყოჩაღად იგრძნობთ. ჰო, შხაპის წინ არ დაგავიწყდეთ სარკეში დაკვირვებით შეათვალიეროთ თქვენი სახე. ეს რაღაა? ფერისმჭამლები—ნიკაპზე, ცხვირზე—გაგანივრებული ფორები? ნუ შეწუხდებით. უმჯობესია, საქმეს მიჰხედოთ: კარგად ააქაფეთ საპონი, ჩაუმატეთ შიგ ნახევარი ჩაის კოვზი მარილი და წაისვით ამ ჩაშავებულ ადგილებზე, ორი წუთის შემდეგ კი მოიბანეთ ცივი წყლით.

ბანაობის შემდეგ სახეზე ისევ შეისხით ცივი წყალი, ოდნავ შეიმშრალეთ და ჯერ კიდევ სველ კანზე წაისვით მკვებავი კრემი. მშრალი კანისთვის კარგია: „ნექტარი“, „ვოსტორგი“, „როსინკა“, „ალიონუშკა“; ცხიმიანისათვის—„ლუქსი“, „ლიმონის“, „ვოლშებნი“.

კრემის მაგიერ სახეზე ნიღბის დადებაც შეიძლება. ეს სულ 15-20 წუთს წაგართმევთ, კანი კი ხავერდივით ნაზი და მქრქალი გაგიხდებათ. მშრალ კანს განსაკუთრებით უხდება, აი, ამ შემადგენლობის ნიღაბი: თითო ჩაის კოვზი ნაღები, კვერცხის გული და თაფლი, ერთად არეული. ოღონდ, ერთი პირობის დაცვით: როცა ამ ნარევს ბამბის ტამპონით ფრთხილად წაისვამთ სახეზე, თვალების ირგვლივ (ქუთუთოებზეც) წინასწარ უნდა წაისვათ მკვებავი კრემი ან ზეთი.

თუ ცხიმიანი და ფორებიანი კანი გაქვთ, მაშინ თქვენთვის კარგი იქნება ლიმონისა და ცილის ნიღაბი. ერთი კვერცხის ცილას ათქვეფავთ და შიგ ჩაუმატებთ $^1/_2$ ჩაის კოვზ ლიმონის წვენს. თუ არა და სახეზე სულაც გადაჭრილი ლიმონი გადაისვით.

ახლა ვარცხნილობა! თმა, რა თქმა უნდა, დაბანილი გაქვთ, კრიალა, კოხტად დავარცხნილი. ერთ საიდუმლოებასაც გასწავლით: თმაზე, დაბანის შემდეგ, გადაივლეთ ლიმონის წვენი. ეს ძმარზე უფრო მეტ ბზინვას აძლევს თმას. ასე რომ, თქვენ თითქმის მზადა ხართ. თითქმის იმიტომ, რომ სახეზე ახლა დეკორატიული გრიმიც უნდა წაისვათ. აი, აქ გმართებთ განსაკუთრებული სიფრთხილე. ეს მომენტი თქვენი გემოვნების გამოცდაცაა. გახსოვდეთ, რომ თუ პუდრსა და პომადას ფრთხილად არ წაისვამთ, სახე შეიძლება უსიამოვნო, ვულგარული და დაბერებულიც გამოჩნდეს. და, პირიქით, მოხერხებულად დადებული გრიმი თქვენი მოკავშირე იქნება.

თუ მშრალი ან ნორმალური კანი გაქვთ, ჯერ მკვებავი კრემი უნდა გადაისვათ, ხოლო თუ ცხიმიანი—კრემ-პუდრი (მშრალ კანზე კრემ-პუდრის წასმა არ შეიძლება, ის ნაოჭებს კიდევ უფრო აჩენს) და მხოლოდ შემდეგ გადისვით პუდრი. შავგვრემან ქალებს უფრო მუქი („ზაგარი“ ან „რაშელი“) პუდრი უხდებათ, ქერებს — თეთრი ან ვარდისფერი. პუდრი კანში კი არ უნდა შეიზილოთ, არამედ მსუბუქად გადაისვათ ზევიდან. შემდეგ ასევე მსუბუქად ჩამოიფერთხეთ, რომ სახეზე უხვად არ გქონდეთ დაყრილი. შედარებით მუქი პუდრი გადაისვით ცხვირზე, ქუთუთოებზე კი სულაც არ წაისვათ. ამის შემდეგ წარბებსა და წამწამებზე გადაისვით ზეთიანი თითი.

პომადა უმჯობესია ტუჩების ბუნებრივი ფერის იყოს. სუფთად რომ წაისვათ, ჯერ სპეციალური ფანქრით შემოიხაზეთ ტუჩების კონტურები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიფერეთ.

ახლა სუნამოს შესახებ. მისი სუნი აუცილებლად უნდა ეხამებოდეს თქვენს გარეგნობას და ასაკს. თუ, მაგალითად, ღია ფერის კაბა გაცვიათ, მოგიხდებათ ნაზი, მსუბუქი სუნამო, მაგალითად, „როზა“, „ჟასმინი“ და სხვა. ხოლო თუ შავი, მაშინ უფრო მოგიხდებათ „კრასნაია მოსკვასა“ და „პიკოვაია დამას“ არომატი. ოღონდ გახსოვდეთ: გადახურულ შენობაში, ხალხმრავლობაში არ ვარგა მძაფრი სუნამოს ხმარება (თანაც ბლომად!). სუნამო სულ რამდენიმე წვეთი უნდა მოისვათ ყელზე, ყურებს უკან და თმაზე, ჰოდა, მორჩა.

ასე, რომ, ხვალ საღამოს სასიამოვნო დროსტარება გელით. თქვენ დაიბანეთ და ლოგინში ჩაწექით. ახლა კი ძილი, ძილი, ძილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოფლიანობა

ნერვული სისტემის ფუნქციურმა მოშლილობამ და საოფლე ჯირკვლების მოქმედების შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი ოფლიანობა. აგრეთვე გაძლიერებულმა ფიზიკურმა შრომამ, მაღალმა ტემპერატურამ და ცხელმა სასმელებმა, როგორიც არის ჩაი, ყავა და სხვა, გააძლიერონ ჯირკვლების სეკრეცია. ხშირად ფსიქიური (სირცხვილის, მღელვარების, შიშის) განცდების დროს შემჩნეულია ხანმოკლე ოფლიანობა, რომელიც განსაკუთრებით არის გამოხატული ფეხისა და ხელის გულებზე, იღლიებქვეშ და სახეზე. ფეხის ოფლიანობას ზოგჯერ თან სდევს არასასიამოვნო სუნი.

ხშირად იღლიის ფოსოში ოფლიანობის დროს ადგილი აქვს კანის მთლიანობის დარღვევას ანუ მაცერაციას, რასაც შეიძლება საოფლე ჯირკვლის ანთება მოჰყვეს.

ოფლიანობის დროს აუცილებელია დილით და საღამოს დაბანა, სასურველია წყალს მიუმატოთ ოდეკოლონი, ძმარი ან შაბის და გლიცერინის ხსნარი. დაბანის შემდეგ კარგია იღლიებისა და ფეხის თითებშუა 2-3-პროცენტიანი ფორმალინის ხსნარით გაწმენდა. კარგად მოქმედებს აგრეთვე მთელი ტანის „ფორმადონით" გაწმენდა. ფეხის ოფლიანობისას კარგია კონტრასტული აბაზანების გაკეთება: ცხელ წყალში — 15-20 წამით, შემდეგ ცივში — 10 წამით. ასე გაიმეორეთ 5-8 წუთის განმავლობაში. ასეთი აბაზანები საჭიროა კვირაში ორჯერ, რის შემდეგ ფეხები უნდა გაიწმინდოთ „ფორმადონით" ან 2-პროცენტიანი სალიცილის სპირტით.

## რჩევა დიასახლისებს

# ქონის ლაქები

შალეულისა და აბრეშუმის მუქ ქსოვილს ქონის ლაქები ადვილად მოშორდება თუ ლაქები ახლადდამჩნეულია: საშრობი ქაღალდის ხელსაწმენდი რამდენიმეჯერ დაკეცეთ, დაადეთ ზევიდან გაქონილ ადგილს და აუთოვეთ თბილი უთოთი, სანამ ლაქა არ ამოცილდება. თუ ლაქა დიდი ხნისაა, მაშინ მას გადაუსვით ბენზინში გახსნილი თეთრი საპონი (1 წილი საპონი 10 წილ ბენზინზე) და ცოტახნის შემდეგ გამორეცხეთ სუფთა ბენზინით.

ღია ფერის შალის ქოვილს ქონის ლაქებს აცილებენ ბენზინში არეული დამწვარი მაგნეზიის ფხვნილით (იყიდება აფთიაქებში). ბენზინსა და მაგნეზიას ერთად მოზილავენ, წაუსვამენ ჭუჭყიან ადგილს და, როცა ცომი შეახმება, ჯაგრისით გაწმენდენ.

იმ ქსოვილებს, რომელთა გარეცხვა არ შეიძლება, ლაქას აცილებენ გაცხელებული კარტოფილის ფქვილით. ლაქას მოაყრიან ამ ცხელ ფქვილს, 15-20 წუთის შემდეგ გაბერტყავენ და შეცვლიან ახალი, ისევ გამთბარი ფქვილით. როცა ლაქა გაქრება, ქსოვილს ჯაგრისით გაწმენდენ.

# მელნის ლაქები

ახალდამჩნეული ძელნის ლაქები ქსოვილს ადვილად მოცილდება თუ მას ლიმონის წვენს ან ლიმონის სიმჟავეს გადაუსვამთ. ლაქის მოშორების შემდეგ ქსოვილი გარეცხეთ თბილი წყლით.

# ჟანგის ლაქები

თეთრ ქსოვილს ჟანგის ლაქები შეიძლება მოვაშოროთ 2-პროცენტიანი მარილმჟავას დახმარებით. ხსნარში ჩავუშვებთ ქსოვილის დასვრილ ნაწილს. ლაქა რომ მოშორდება, ქსოვილს კარგად გავრეცხავთ. გარეცხვისას დავუმატებთ 3 სუფრის კოვზ ნიშადურის სპირტს თითოეულ ლიტრ წყალზე. ჟანგი შეიძლება მოვაცილოთ ლიმონის წვენითაც. ლაქას დავასველებთ ამ წვენში, ზევიდან კი თხელ ფენად მოვაყრით სუფრის მარილს. ასე დავტოვებთ 24 საათის განმავლობაში, შემდეგ კი წყლით გავრეცხავთ.

# ჩაი

ჩაის ნაყენი შეგიძლიათ რამდენიმე დღე შეინახოთ, მხოლოდ ობი არ უნდა მოედოს. ჩაიდანს, რომელშიც ნაყენია, სახურავი არ დაახუროთ. ჩაიდნის ძირში ჩადეთ შაქრის ნაჭერი.

ჩაის სუსტი ნაყენის საფენები სასარგებლოა თვალების დასაამებლად.

თუ ჩაის მონახარშის ნარჩენს ხელახლად დაასხამთ მდუღარეს და თმაზე გადაივლებთ, თმა მიიღებს ოქროსფერს.

ჩაის მაგარი ნაყენით კარგად იწმინდება ხის შეღებილი ნაწარმი.

ჩაის ნაყენმა შეიძლება ტაფას გაუქროს თევზის სუნი.

ჩაის ნალექით იწმინდება ნოხები. ხალიჩას მოაყარეთ ჩაის ნალექი და გაწმინდეთ, შემდეგ მოაცილეთ და ჩვეულებრივ გაწმინდეთ.

# ხახვი

ჯერ კიდევ უძველეს დროში ხახვი თაფლთან ერთად ცნობილი იყო როგორც სამკურნალო საშუალება.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. იოირიში გვთავაზობს რამდენიმე რეცეპტს:

ალლილჩეპი (სპირტზე ნაყენი დაჭრილი ხახვი) წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ნაწლავების ზოგიერთი დაავადების წინააღმდეგ, ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიის დროს.

**ხახვი თაფლით** (500 გრ გაწმენდილი და წვრილად დაჭრილი ხახვი, 50 გრ თაფლი და 400 გრ შაქარი იხარშება ერთ ლიტრ წყალში სამი საათის განმავლობაში, ნელ ცეცხლზე. სითხეს აციებენ, ბოთლში ასხამენ და კარგად დაუცობენ თავს) რეკომენდებულია ძლიერი ხველის დროს.

**უმი ხახვი თაფლით და ვაშლით** კარგი წამალია ყელის ანთების წინააღმდეგ.

**ხახვის და თაფლის ნარევი** რეკომენდებულია ტვინის სკლეროზის დროს. როგორ მოვამზადოთ ის ოჯახურ პირობებში? ერთ ჭიქა ხახვის წვენს აურევთ ერთ ჭიქა თაფლში. წამალს მიიღებთ დღეში სამჯერ სუფრის ან დესერტის კოვზით, ჭამამდე ერთი საათით ადრე, ან ჭამიდან ორი-სამი საათის შემდეგ. მკურნალობის ვადა ორი თვეა. ორი კვირის შესვენების შემდეგ შეიძლება გააგრძელოთ კიდევ ორ თვეს.

ხახვი საერთოდ ყველასათვის რომ სასარგებლოა, ამას ლაპარაკი არ უნდა. იგი შეიცავს 30 სახის მინერალურ ნივთიერებას, დიდი რაოდენობით ვიტამინ C-ს და ეთეროვან ზეთებს. შაქრის შემცველობით მას მხოლოდ საზამთრო თუ შეედრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო თემაზე

# ვარდი

ადამიანის ყოფაში არც ერთი ყვავილი არ თამაშობს ისეთ დიდ როლს, როგორც ვარდი. მასთან დაკავშირებულია მრავალი მითი, ლეგენდა, თქმულება, ჩვეულება. ერთი ბერძნული მითი ვარდის წარმოშობაზე მოგვითხრობს:

როცა სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთმა აფროდიტამ თავის შეყვარებულის, სანადიროდ წასული ადონისის დაღუპვა გაიგო, კვიპროსის მთებში წავიდა უმშვენიერესი ჭაბუკის გვამის საძებნელად. ეკალბარდებმა და ქვიანმა ბილიკებმა მას სათუთი ფეხები დაუიარავა. მიწაზე დაცემული მისი სისხლის წვეთები წითელ ვარდებად გადაიქცნენ.

მეორე ლეგენდის მიხედვით, ვარდები დედამიწაზე ღმერთების მიერ შემთხვევით დაღვრილი ნექტრისაგან წარმოიქმნენ.

ძველი რომაელები თეთრი ვარდის გაჩენას უკავშირებენ მითს ვენერაზე. როცა ქალღმერთი ზღვის ქაფიდან ნაპირზე ამოდიოდა, მისი ტანიდან ჩამონადენი ზღვის წვეთები თეთრ ვარდებად იქცეოდნენ.

სიყვარულის ღმერთმა კუპიდონმა პირველი თეთრი ვარდი ჰარპოკრატეს — დუმილის ღმერთს უძღვნა, რათა მას არ გაემჟღავნებინა ვენერას თავგადასავალი. უძველეს ხალხებს საშუალო საუკუნეებშიც კი თეთრი ვარდი დუმილის სიმბოლოდ მიაჩნდათ; თუ წვეულების მაგიდას თეთრი ვარდები ამშვენებდა, უკვე ყველამ იცოდა, რომ აქ ნათქვამი არ უნდა გახმაურებულიყო.

პირვანდელ ლეგენდაში ნათქვამია, რომ ადრე ვარდი არ იყო ეკლიანი. როცა ადამიანები გულგრილნი გახდნენ და დაკარგეს სილამაზის შეგრძნების ფასი, ვარდი სულ უფრო და უფრო ეკლით დაიფარა.

ბერძენი „ჯადოქარი ქალები“ ვარდისაგან ამზადებდნენ სიყვარულის სასმელს.

ვარდი იყო რომაელების საყვარელი ყვავილი. რომში და იტალიის სხვა ქალაქებში, ვარდის ყვავილობის დროს, მის სადიდებლად სპეციალურ ზეიმებს მართავდნენ. ვარდის გვირგვინებით და გირლიანდებით ამკობდნენ ქანდაკებებს და ტაძრებს. ვარდებს აბნევდნენ გზაზე. ვარდებს ფეხქვეშ უფენდნენ გმირებს და გამარჯვებულთ.

სახვით ხელოვნებაშიც ვარდს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. პომპეის ფრესკებზე ვარდი გამოსახულია ქორწინებისა და დაკრძალვის სცენებში. ის გვხვდება მოზაიკებსა და ფულის მონეტებზე.

ვარდის გამოსახულებაა XV-XVI საუკუნის მინიატურებშიც.

ვარდი ამშვენებდა მედლებს, ორდენებს, ბეჭდებს და ღერბებს.

ჩილის დედაქალაქ სანტ-იაგოში არსებობს მეტად ლამაზი ტრადიცია: ოჯახში შესულ უცხო მამაკაცს ქალი ვარდს მიართმევს; ეს იმის დამადასტურებელია, რომ მას უხარია და სიამოვნებს ახალი ნაცნობობა.



გარეკანზე — პლაკატი. „შრომა, მშვიდობა, მაისი“. მხატვარი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა.


| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი **მარიკა ბარათაშვილი** | სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **ნ. ჯავახიშვილი.** ტექრედაქტორი ქ. დემუროვა. | **საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა** |

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IV 66 წ., ქაღალდის ზომა 60×92 ტირაჟი 71.000. შეკვ. 994 უე 02999 **ფასი 80 კაპ.**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

**ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.**

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ა. ერაძე



# იუმორი

მხატვარი დ. ბაშელეიშვილი



ვის როგორ ესმის?

— ბებიკო იცი ჩარლსტონი?

— რომელი შვილო, ცხონებულ ბაბუაშენს რომ ეცვა??



ვის როგორ ესმის?

— რას ეძებ შვილო მაგ ყურში!

— მასწავლებელმა მითხრა: ყურებიდან ბამბა ამოიღე და ყველაფერს გაიგებო!

ხ103/124

ИНДЕКС 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ახალგაზრდებო!

ძვირფასო მკითხველებო! ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ გადასწყვიტა კიდევ უფრო ღრმად გაეცნოს თქვენს ცხოვრებას, მიზნებსა და ინტერესებს.

მოგმართავთ რამდენიმე შეკითხვით. გთხოვთ ნუ დაიზარებთ და გამოგვეხმაურეთ.

საინტერესო, დამახასიათებელი წერილები გამოქვეყნდება.

სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ახალგაზრდებო!

1. თქვენი ასაკი?
2. სქესი?
3. განათლება?
4. სამუშაო ადგილი? (სურვილისამებრ შეგიძლიათ აღნიშნოთ თქვენი ვინაობა და მისამართიც).
5. რომელი პროფესია გიზიდავთ და რატომ?
6. ხელოვნების რომელი დარგი უფრო გიტაცებთ და რატომ?
7. ლიტერატურის რომელი ჟანრი მეტად გაღელვებთ, რომელი მწერალი გიყვართ, რომელი გმირი და რატომ?
8. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება?
9. როგორ გესახებათ თქვენი ოცნების გმირი, როგორი უნდა იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი?
10. რას მოითხოვთ მეგობრისაგან?
11. თქვენი აზრი იდეალურ ქალიშვილზე და იდეალურ ვაჟზე.

ჟურნალ „საქართველოს ქალის"
რედაქცია ელის თქვენს პასუხს!